

საბავშვო



შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვ.
1. ნორჩი თაობა უნდა გაჰყვეს ოქტომბრის გზას—მარიამ ორახელაშვილის	2
2. ოქტომბრისთვის—ლექსი—კ. ლორთქიფანიძის	3
3. მეორე რევოლუცია—ლ. გუშელევსკის	4
4. ოქტომბრის დღეები—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის	10
5. ბარიკადზე—ს. ერთაწმინდელის	11
6. ბრძოლის და გამარჯვების ცხრა წელი—შანის	16
7. ოქტომბერი—ლექსი—ჟ. მდივანის	20
8. ჩვენი ძმები მსოფლიოში	21
9. რა ხდება ჩინეთში?	22
10. რა უნდა წავიკითხოთ?	24
11. შეცნობა და ტენჯია	24

327.153 (15)

3-47.

მუშათა კლასის საკმისათვის ბრძოლა!



პ ი ო ნ ე რ ი

1926

30 ოქტომბერი

ვანათუნის ხანაღასო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველთა და საცაბოთელთა შ. კ. თ. ცენტრალური მიურთს (საქ. ა. ლ. კომკავშირის დეკანოზი) მურნალი მანუშისათვის

წელიწადი I
№ 2



571.

ამპარცევეული ოქტომბრის რევოლუცია

ლოკრი თხოვა უნდა გავყვას მასშობრივ გზას.

თვითეული ბავში, თვითეული ახალგაზრდა რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა გვეცნოს ოქტომბრის რევოლუციას, უნდა იცოდეს, თუ რა პირობებში ცხოვრობდნენ მუშები და საერთოდ მშრომელნი რევოლუციის დასაწყისში, უნდა იცოდეს, როგორ ცხოვრობდა და როგორ იქცეოდა ბურჟუაზია ომისა და რევოლუციის დროს. აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენი ბავშვები და ახალგაზრდობა კარგად გვეცნონ რუსეთის მუშათა კლასის ზანგრძლივ და შეუზოგარ ბრძოლის თვითმპყრობელობასთან და კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, კარგად გვეცნონ აგრეთვე მთელი მუშათა მოძრაობის სულის ჩამდგმელის და ხელმძღვანელის, ოქტომბრის ბრძოლის გამაზრდეების ორგანიზატორის—კომუნისტური პარტიის—ისტორიის და ამ პარტიის დაზარალებულს, დიდ მასწავლებელს—**აბს. ლენინს.**

ოქტომბრის რევოლუციამ ძირი გამოუთხარა ძველ, დამყაყებულ ცხოვრებას მთელი ჩვენი დიდი კავშირის განუზომელ მიწაწყალზე, მან მიგვლი მსოფლიოს მშრომელებს შეახსოვრებინა და გულს გაუღვივა უკეთესი მომავლის იმედი, მან ახალი ერა შექმენა კაპიტალიზმის ცხოვრებაში, და ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო ბევრი და ბევრა ასეული ტომი, ამ რევოლუციას შეისწავლიან ყველა ხალხების ყველა თაობანი მრავალი წლების განმავლობაში.

ძვირფასო მეგობრებო, უნდა ვახსოვდეთ, რომ შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია განვითარება, თუ კომუნისტიკენ არ მივიღებთ. თქვენ კარგად უნდა გავიგოთ, რომ კომუნისტი არის ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი თანამედროვე საზოგადოების შენდვოში ეკონომიური განვითარებისა.

ოქტომბრის რევოლუციამ დაგვანახა, თუ რა გზით და რა საშუალებით უნდა გავითავსდეთ თავი კაპიტალიზმს კაპიტალიზმის უღლისაგან, ექსპლოატაციისაგან.

ჩვენმა მშრომელმა ხალხმა ისწავლა რევოლუციონური ბრძოლის წარმოება, მან გამოსცადა შიმშილ-წყურვილი, სიცოცხთ კანკალი, ტანჯვა წამება და ჯალათთა ცბელი ტყვეები. თქვენ უნდა ისწავ-

ლოთ, ცოდნით უნდა აღიკურვოთ; შეისწავლეთ მშრომელთა ბრძოლა, დამარცხება და გამარჯვება. ჩვენ მიერ განვლილი გზა ხელს შეგვიწყობს, რომ სათანადოდ მოვმზადდეთ დიდი საქმისთვის.

ოქტომბრის რევოლუციამ ასწავლა ხალხს, თუ როგორ უნდა დააფუძღუროს, დაამარცხოს, მოსპოს მტერი და ხელში ჩაივლოს ძალა-უფლება, ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოო საშუალებანი, მიწა და სამიმოსელო საშუალებანი. მაგრამ იმას, რაც შეგვგვინა ოქტომბრმა, შენარჩუნება უნდა და ამისთვის კი საჭიროა დიდი დრო, დიდი ძალ-ღონე, დიდი თანხა და ცოდნით აღჭურვილ, ძლიერი ნებისყოფის მქონე და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის სურვილით აღტყინებულ მებრძოლთა ახალ-ახალი რაზმები.

თქვენი უახლოესი და უმთავრესი მოვალეობაა, ახალგაზრდა ამხანაგებო, ახლავე შეუდგეთ მზადებას, რომ შესძლოთ ოქტომბრის მონაპოვართა სადარჯოზე ამაყად დგომა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეს მივახწიეთ. დავიშუშდა სამოქალაქო ომის ქროლოები, განვლო შიმშილის საზანებლმა ხანამ, წინ წვიდა ჩვენი მეუჩრნობა, გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები და ყველა ამან მიგვაიწყეს ისაუტანელი პირობები, ის მსხვერპლი, ის გაპირება, რაც გამოიარეს გმირულმა მუშათა კლასმა, კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ბელადებმა, სახელგანთა მწიფლმა არმიამ და წითელმა ახალგაზრდობამ. მაგრამ დაუშვებელია ამის დაიწყება. მთელ ამ ისტორიას შესწავლა უნდა, ყველა ამგები უნდა გავიხსენოთ; მებრძოლი მშრომელი კლასის მიერ განვლილი ქრონიკა და ღონი უნდა დაედლოს საფუძვლად მიუღ თქვენს მუშაობას—კითხვა იქნება ეს, წერა, ხატვა, სიმღერა თუ სხვა. ჩვენი დამარცხებისა და გაპარჯების ისტორიამ უნდა აღგზარდოს თქვენ. თქვენ გატაცებით უნდა კითხულობდეთ კომუნისტური პარტიის ბელადების (ლენინის, სტალინის, ძერგინის, ფრუნკის, ცხაკის და სხვ.) აგრეთვე სამოქალაქო ომის, წითელი არმიის და ფლოტის გმირთა ბიოგრაფიებს, ოქტომბრის გამარჯვება, და გამარჯვა იმიტომ, რომ პრო-



ლენინი ელაპარაკება პირდაპირი მე-თვითლი არმიის მთავარ სარდალს გენერალ დუბოინს დროებითი მთავრობის ჩამოგდების შესახებ.

შაობას—კითხვა იქნება ეს, წერა, ხატვა, სიმღერა თუ სხვა. ჩვენი დამარცხებისა და გაპარჯების ისტორიამ უნდა აღგზარდოს თქვენ. თქვენ გატაცებით უნდა კითხულობდეთ კომუნისტური პარტიის ბელადების (ლენინის, სტალინის, ძერგინის, ფრუნკის, ცხაკის და სხვ.) აგრეთვე სამოქალაქო ომის, წითელი არმიის და ფლოტის გმირთა ბიოგრაფიებს, ოქტომბრის გამარჯვება, და გამარჯვა იმიტომ, რომ პრო-

ლექტორთა ასეული ათასები და მილიონები თავდადებულად იბრძოდნენ სანატრელი თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის და ამავე მიზნის მისახწევად იყვნენ თავგადასხმული კომუნისტური პარტია და მისი ბელადები. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ არ დასრულებულა, ოქტომბრის რევოლუციის სიდიადე მთელ მშრომელ კაცობრიობას ჯერ კიდევ სავსებით არ აქვს შესიხლბორცებული. საქორა კიდევ უფრო დიდი, ხანგრძლივი და მეფავარი მუშაობა. ოქტომბრის გამარჯვებისათვის შრომობდნენ ახალგაზრდები, ფრონტებზე თოფით ხელში იდგნენ ისინი ამ მიზნისათვის. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა ახლა კომპარტიასთან ერთად ებრძვის მშრომელთა უფროსებს,

უკულტურობას. კომუნისტური ახალგაზრდობის მარება ბავშვისა და ახალგაზრდების ორგანიზაციულად დაარსებამდე.

საქორა ოქტომბრის რევოლუციის განმტკიცება ჩვენში, საქორა ოქტომბრის აფეთქება, ე. ი. სოციალისტური რევოლუცია, სხვა ქვეყნებშიც—და ყველა თქვენგანმა უნდა შეიგნოს, თუ რას მოითხოვს მისგან ეს დიდი საქმე, ყველა თქვენგანმა შედგარდ, თავდადებულად უნდა იშრომოს, რომ ცოდნით აღიჭურვოს, რომ შესძლოს მშრომელთა ინტერესების საღარაჯოზე მტკიცედ დიდგობა.

მარიამ ორახელაშვილი.

მ ქ ტ მ მ ზ რ ი ს თ ვ ი ს.

ამხნავო,
მოღის, მოღის
აზვირთებულ ხალხთა გროვა...
მათ მეომარ მკლავს რა მოღლის,
რა ჩააქრობს ცეცხლის თოვას!

მძიმე,
ბნელი საუკუნე
განიავდა, როგორც მტვერი...
მუდამ, მუდამ იგუფუნებს
ეს წითელი ოქტომბერი.

დაჰკათ ზარებს,
დაჰკათ ზარებს,
მეომარო, თოფი ხელში!
ძველ ცხოვრებას, შხამით მწარეს,
დაუმოხნე საფეთქელში.

ხედავთ, ხედავთ:
მოღის, მოღის
აზვირთებულ ხალხთა გროვა,
მათ მეომარ მკლავს რა მოღლის,
რა ჩააქრობს ცეცხლის თოვას!

ცეცხლში ვწვივთ,
ცეცხლი არის
ჩვენი ბედის გადამწყვეტი!
დე, დაეცეს გულს ისარი,
და შუმლს აჩნდეს სისხლის წვეთი...

მაშ წინ ისევ!
მედგარდ,
ერთად ..
აყუჩინდი, ბუქნალიარაქ!
დღეს ბრძოლვებმა შეგვეგერთა
ახალგაზრდა და კლარა.

დაჰკათ ზარებს
დაჰკათ ზარებს,
მეომარო, თოფი ხელში!
ძველ ცხოვრებას, შხამით მწარეს,
დაუმოხნე საფეთქელში.

მოღის,
მოღის ოქტომბერი
გამარჯვების წითელ ფრთებით,
განიავდა, როგორც მტვერი,
ამართული ჩავერის მე ვები.

ო, რამდენჯერ მხნე მკლავებით
ქვეყნად ცეცხლი დაგვინაო!
დღეს ასრულდა...
ვისიღმებით
მოელვარე ჩვენს განთიადს.

ამა, ჩქარა
ტაში, ტაში...
მიევიტოთ სიმღერებით;
განთიადი თვალღეს ვაშლის
ათასნარი სხვი ფერებით.

მეგობრებო, გვიხარია...
სასიამოდ ფეთქს გულებით;
მშრომელები იქპარია,
საზეიმოდ მოართულვები.

ამხანავო,
მოღის, მოღის
აზვირთებულ ხალხთა გროვა...
მათ მეომარ მკლავს რა მოღლის,
რა ჩააქრობს ცეცხლის თოვას!

ქ. ლორთქიფანიძე.



ტრამევის რონოდა პოლიციის ხილთან მოულოდნელად შეჩერდა. პატარა ანტონი მიაღება მინას, მაგრამ ვერაფერი დაინახა. მის პირდაპირ მჯდომმა ქალბატონმა ვილკი „პატარმა“ გულისხმულად დაიძახა: „რა საძაგლობაა“ — და კომბალის მსვავის თავისი ჯოხით ნერვიულად დაუწყო იატაკს კაკუნით. კონდუქტორმა-კი, რომელიც ვაგონში შემობრუნდა, განაცხადა:

— მოქალაქენო, ვაგონი ამას იქით აღარ წავა!
— რატომ?

— იმიტომ, რომ არ წავა! — მოკლედ მოსკრა და, აიჩნა რა მხრები, დასწვდა საფულე ჩანთას, რომ ნავეჭრი დაეთავლა. მგზავრები ბუზღუნით და ჩხუბით საითთაოდ ჩამოვიდნენ ვაგონიდან. პატარაც გაჰყვა სხეებს თავისი კართოფლით სავსე ბოხით; მას ესიამოვნა ეს მოულოდნელი ამბავი, რონოდის ბაქანიდან მხიარულად ჩამოხტა და ნაწილად ქუჩას გაჰყვა. მიიხედა-მოიხედა.

უკან წევის გამზირი¹⁾, როგორც ყოველთვის და მით, ახლაც ბრწყვილებდა ელექტროს ნათურებით. ბზინავდნ მალახვის ვიტრინები, კიფობდნ კინემატოგრაფების თავისი მონიარულითა ხმაურითა, ტრამევის ქრატუნნი და ავტომაობილების ყვირილი ერთიმეორეში იყო არეული. მხოლოდ წინ, ერთიმეორეზე მიყოლებულ ტრამევის ვაგონებში, სინათლე არ იყო. ქუჩის გასწვრივ აღმინანები თოფებით და ხილს ვაღმა დარაჯები თბებოდნ ანთებული კოცონების მიმქალ ნაკვერცხლებთან.

პატარას ბევრი არ უფიქრა, — წასულიყო წინ, თუ ისევ შინ დაბრუნებულყო. მან თავისი ფუთა მხარზე გადაიგდო და გაუღდა გზას. რონოდებთან მდგარი კონდუქტორები და მგზავრები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნ ჯარისკაცებს.

კარგად ჩაცმულმა ქალბატონმა, რომელიც, რონოდის საფეხურზე მდგომი, განცვიფრებას მისცემოდა, ხმამაღლა მიაცვირა:

— საღ მიდიხარ, პატარო! იქ ბოლშევიციები არიან!

პატარა ანტონმა ვაღმობედა მას ცივიდ, მაგრამ ხმა არ გასცა და გზა განაგრძო. მაშინ ქალბატონმა გააყოლა პატარას თვალი და თავისთვის წაიბურტყუნა:

— ახ, იმათივე წრიდან არის! ჯაშუსი!

ხილს ვაღმა თოფებით მდგარი ხედავდნ, თუ როგორ მოეპარებოდა მათენ პატარა ბიჭუნა, მხარზე გადადებულნი სსასცილო ფუთით, მაგრამ არ შეაჩერეს.

მივიდა ცეცხლთან. გაიბო ფეხები, შემდეგ ხელები, ხან ერთ მხარზე ვაღაიგდო თავისი ბარგი, ხან მეორეზე და, როდესაც კარგად შეთბა, ვაღახედ-ვაღახედა გარშემორტყმულ თოფთან კაცებს და ჰკითხა:

— სიცივეა, ძებო?

ერთმა იმთავანმა მარისხანედ ვიჩინა თავი და ხმამაღლა შესძახა:

— აბა, შენ აქ, ამ დროს, რა გინდა!

პატარას თვალებში სიცილი ჰკრთოდა, მაგრამ ის ამ მარისხანე შემახილმა შეაშინა.

გააქნა კართოფლიანი ფუთა და მიუთითა ჩაბნელებულ ტრამევის რონოდებსაკენ:

— ტრამევი ამას იქით აღარ მიდის. მე-კი ავტორმა მამაჩემთან საჭმელი მიმიქონდა, დედამ ვაგონატანა, შეიძლება ვამატაროთ?

— საით?

— ვასილევის კუნძულისკენ!

— რისთვის?

— აი, იქ, მამასთან, ქარსანაში ..

— ვინ არის მამაშენი?

1) ლენინგრადაში.

- მუშა.
- სადაური?
- ნევის ძაფის ქარხნისა...

წითელგვარდიელის მრისხანე სახე მორბილდა. ის დაეჭვანა თოფს და გაეცინა.

— ვასილიევის კუნძულზე როგორ მოხვდა მამა-შენი?

— გუშინ დღეგატებთან ერთად წავიდა იქ მანუფაქტურაზე. მის აქეთ არა სჩანს! უკველ-უსმე-ლია. დედა კიდევ თითქმის ტირის. სად დიკარ-გა... უნდა ვიპოვოთ, — გაიძახის.

აი, მიმაქვს მასთან კართოვილი.



—სიტყვა, ძმებო...

წითელგვარდიელმა გადახედა ამხანაგებს. ეტყობოდა, რომ ის იყო იქ უფროსი. ერთმა, რომელიც პატარა ანტონის გაბედულ ქვობრტულს ყურს უგდებდა, ხელი ჩაიქნია:

- ვერ იპოვი! იქ ახლა არაფერ არ არის!
- ამა სად არიან?
- აღარ ვიცი!

პატარამ ამოიოხრა. მის ირგვლივ თავი მოიყარეს თოფიანებმა. ათვალერებდნენ და ყურს უგდებდნენ. რომ ვათამამდა, ერთი მათგანის თოფს ხელი მოჰკიდა, დაათვალერა საჩხმხზე და ჰკითხა:

— თქვენ-კი რად დაბრავობთ აქ, ძმებო, თოფებით? რევოლუციაა, ძმებო, არა!

- რევოლუცია!
- შერე, ხომ იყო ერთი... ზიმთარში?
- იყო! ახლა მეორე იქნება!
- ოჰო! მეორე, — გაიკვირვა პატარამ, რომელიც ამ დროს თოფის თათს ხელს უსვამდა, — მეორე... ეს უკვე ჩვენი, ძმებო, არა?
- ჩვენი, — გაეცინა წითელარმიელს, — ჩვენი!
- რომ ყველამ უკეთ იცხოვროს?
- დიხ!
- მამა მეუბნებოდა, — ოხვრით სთქვა პატარამ, მამამ მე ყველაფერი მითხრა... ეს არის მხოლოდ, რომ თქვენ ვერ მორიდდებით! ტყვიას ესვრით, არა?!

— თუ საკიროვბამ მოითხოვა, კიდევაც ვესვრით.

პატარამ ხარბი თვალით შეხედა მათ მაგარ ხელებს და მკლავებს და ჰკითხა:

- აქ რად უღარაჯებთ? სად არიან ისინი?
- სისახლეში ჩაიკეტენ!
- იქ?
- იქ!

პატარას თვალები გაუბრწყინდა. წითელგვარდიელმა გაიღიმა:

- მამაშენი ბოლშევიკია?
- ბოლშევიკია!
- შენ?
- მეც!
- ჰოო! მაშ შენ არაფერს გიზამთ. მაშ შენ ჩვენი ხარ! — წაღი პირდაპირ, შერე მარჯვნივ შეუხევი, მიადგები თალს, იქ იკითხავ, სად დგას ნევის ძაფის ქარხნის რაზმი! მამასაც იქვე ნახავ!

პატარა ანტონი გაემგზავრა გაუბედავად, გადაიგდო თავისი ფუთა მხარზე და თან ფიქრობს: ალბად, დამკინოდენ, საცაა დამპარუნებნო, მაგრამ არაფერ დაუძახა, არაფერ დააბრუნა. მოსახვევთან თავისუფლად ამოისუნთქა და ქვეფენილით გაირბინა დიდი თალისკენ, რომელსაც ჩამბელებული ქუჩაზედ ებჯინებოდა.

თალის ქვეშ სიბნელეში ისევ თოფიანი კაცები იდგნენ. პატარამ საქმიანი კილოთი ჰკითხა:

- ნევის ძაფის ქარხნის რაზმი აქ არ დგას?
- არა! რად გინდა?
- მამასთან მივალ! სად არიან ისინი?
- წინ!

პატარას თოფის ხიშტით უჩვენეს გზა. ის გვიდა თოფიანების წრიდან და მალე გაჩნდა მოედანზე. იქიდან ისე, როგორც შავ ღამეში დაშფინდილ მღინარეში ვასკვლაოთა კრება, მოსჩანდა ელექ-



ტრონის შუქით გაჩირადლებული სახამართო სასახლის თ ნჯრის მინები. პატარა ანტონი მზიარულად დაედევნა მოედნიდან სას ხლისკენ მიმავალ ხალხს.

2.

მამა არსად სჩანდა. პატარამ მოედანზე ხეტიალის დროს სასახლეს ირგვლივ შემოუარა. სასახლის ალყაფის კარებთან; შესავალ კარებთან; მოაჯირების გაყოლებით ყველგან მცველები იდგნენ, ახალგაზრდობა, ახალ სამხედრო ფორმაში გამოწყობილნი.

„იუნკრები!“—გაიფიქრა პატარამ, რომელმაც ეს სიტყვა ამ საღამოს ბევრჯერ გაიგონა. უცნობი მტრის, რომელიც სასახლეშია ჩაქტილი, დამცველთა სახელის გეგონება შიშსა ჰგვრიდა პატარას.

ის შემთხვევით სასახლის არხისკენ გაივიდა.

თლილი ქვის მოაჯირის ჩრდილს ეფარებოდა; ეგვარად ის სასახლის თაღამდის მივიდა, გზაში არავინ შეხვედრია; ეტყობა, ამ მხრიდან თავდასხმას არ მოელოდნენ. აქ სრული სიწყნარე იყო. პატარას გაუეკვირდა, რომ ამ მხრიდან საშიშროება არ იყო და ერთი დაუსტყინა მან განიზრახა ჯარისკაცებთან დაბრუნება, რომ ამის შესახებ ეცნობებოდა მათთვის, მაგრამ ამ დროს შესავალი კარების სიღრმეში მოესმა ხმაღალი ძახილი:

— შეჩერდი! ვინა ხარ?

პატარა შეტორტუნდა, განზე გაიწია, მაგრამ უტბად შესავალი კარებიდან ხიშტმა გამოჰყო თავი

— შეჩერდი, თორემ გესვრი!

პატარამ სული გატვინა და ქვაფენილზე დაჯდა, არ ინძრეოდა.

— პატარავ! აქ მოდი, გესმის?

მას სხვა რა უნდა ექნა... უნდა მისულიყო, ადგა და წუწუნით მიუახლოვდა. კარებთან იდგა ახალგაზრდა იუნკერი. მას გაუეკვირდა ასეთ დროს პატარას ნახვა და გასართობად მისთან გააბა მისალაით.

— რას დაეთრევი, პატარავ! რომ გესროლონ და მოგკლან? აქ რა გინდა?

— მე ხომ მამასთან მივიდიოდი...

— სად არის მამაშენი? სასახლეშია?

პატარამ გადაწყვეტილი უპასუხა: „სასახლეში!“ მას ეგონა, თუ ამის შემდეგ იუნკერი მას მხოლოდ დატუქსავდა და სხვაფერე არაფერს დაუშავებდა. იუნკერი-კი დაბეჯინა თოფს და ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა.

— ეინ არის მამაშენი? სასახლის კარისკაცია?

— დიხ, კარისკაცია, — დაეთანხმა პატარა.

იუნკერმა პატარას მხარზე დააღიჯა და თვალები დახუჭა, ეგონა თუ დატუქსავდა.

— გამოგონე, პატარავ! მე შენ სასახლეში შეგიშვებ, მხოლოდ ერთი პირობით: თავდაპირველად უნდა შეხვიდე საიუნკრო ოთახში, პირველი ოთახი თეთრი დარბაზის შემდეგ, იკითხავ იქ მორიგეს და ვადასტურებ მას, რომ გამოგიგზავნოს ერთი ბოთლი ღვინო, — გაიგე?

პატარა ანტონი თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა და ანიშნებდა, რომ ყველაფერი გასაგები იყო და ნაკლებ საშიში, ვიდრე ის მოელოდა.

— ბოთლი ღვინო, აუცილებლად ზურგუნდისა! ეტყე, რომ ხორბორონი თხალოვობს ზურგუნდის ღვინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დასტოვებს სადარბაზოს, რადგანაც აქ ცივა და მეც ძალზე დაღლილი ვარ! — გაიგე? შემდეგ შეგიძლია მამაშენთან მიხვიდე. შედი!

პატარას გული აეთანადრა, ფეხებში შიშის ქარი გაუღდა. ის შედიოდა მტრების სადგომში და ხელდავდა, თუ იუნკერი როგორ დააწვა დიდი კარების სახელოს და გააღო მას შესასვლელად.

— მხოლოდ აუცილებლად ზურგუნდის ღვინო, გაიგე?

— გაიგე! — სწრაფად წამოიძახა პატარამ და ღია კარებში შევიდა.

— იცოდე, დავიკერ და ყურებს ავიწეე, თუ, როგორც გიანხარი, ისე არ მოიქცევი, — დაექანდა მას იუნკერი.

პატარა კარებს იქით იდგა. დაათვალიერა იქაურობა, იქნა თავისი ფუთა და წაივინა პირდაპირ ღერეფით. ის მიდიოდა გაბედულად, თითქმის აქაურობა ისე იცოდდა, როგორც თავისი ქობის ამბავი; იქეთ-აქეთ არ იხედებოდა, მიდიოდა პირდაპირ, გაბედულად, მამაკურად, თავაწეულად!

თუმცა, რომ მას ასე არ ექნა, არამედ ყველაფერი დაეთვალიერებოდა, იქაური სიმიდრე, ოქროსოვლობა, მორთულობა და სხვა, — მინც მას ევრაყინ შეამჩნევდა და იმით არავინ დაინტერესდებოდა.

სასახლე ამ მხრივ უღამნოს წარმოადგენდა, ძალიან ხშირად ხედებოდნენ ერთმეორეს იქაური მსახურები, კაზაკები, ოფიცრები, იუნკრები, მაგრამ ისინი იყვნენ აღელვებულნი, დაბნეულნი და საკუთარი საქმით იყვნენ ვარსებები. წითელფუთიან ბავშვთან მათ საქმე არ ჰქონდათ, მით უფრო, რომ პატარა ყველას გზას უთმობდა და კედელს მიკრული თავისთვის მიამოხებდა.

მის სიარულს და ფეხის ხმას კაზაკებმაც არ შეამჩნიეს უტრადლებმა... ისინი ვაცხარებით უმტკი-



ცებდენ ერთიგორეს, რომ საჭიროა წასვლა, სსახლის დაცლა.

— უნდა წავიდეთ! სულ მალე კრეცერებიდან სასახლეს ზარბაზნებს დაუშენენ. ეშმაკებს წაუღია ეს მინისტრები, რად გვინდა ჩვენ ისინი!

პატარამ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს. იამა და განიზრახა მისვლა კახაკებთან, რომ მათთვის ეჩვენებია არხის მხრით უშიშრად გასასვლელი გზა, მაგრამ ვაიარა ისე, რომ ხმა არ ამოუღო.

ნახევარ საათზე მეტი იარა სასახლის ერთი ოთახიდან მეორეში. ცნობისმოყვარეობით ათვალერებდა ყველაფერს. მის თავზე ბრწყინავდნენ ქალღმობთ მორთული ოთახის ჰერები. გრძელი დერეფნიდან ხან ერთ ლამაზად და მდიდრულად მოართულ ოთახში შევიდოდა, ხან მეორეში. მას არავინ აჩე-

მელიც იუნკრების სამორიგეო ოთახში შედიოდა. იქ სიწყინარე იყო... ოთახი გაქუქიანებული, შიგ თამბაქოს კვამლი იდგა, იატაკზე პაპიროსის ნაშვებები ეყარა. მარმარილოს მაგიდის წინ იჯდა იუნკერი, თვალმუცხვარი, ფორმაში გამოწყობილი და იარღში ჩამჯდარი. პატარა მივიდა მასთან:

— თქვენ არა ხართ მორიგე?

— მორიგე ვარ! რა გინდა? — ჰკითხა მან პატარას.

— ხოხორინწა დამავალა გადმოგვტო, რომ თქვენ გაუგზავნათ მას...

ღვინო! მოკლედ მოუჭრა მან.

— მხოლოდ მან გთხოვთ, რომ ღვინო აუცილებლად ბურგუნდიისა იყოს...

— იქ არის კუთხეში, ტახტის ქვეშ, ყუთში...

პატარამ შეათვალიერა კუთხეში ტახტი, დააკეურდა, მაგრამ აღგილიდან არ დაძრულა, არ იცოდა, რა ექნა!


— რად გაჩერდი? აიღე და წაუღე! მე რა მოვალე ვარ თვითონ ვუზილო!

პატარა წავიდა ტახტისკენ.

— მხოლოდ ერთი ბოთლი, იცოდე!

— დიას, ერთს მხოლოდ! — უთხრა მან და ტახტის ქვეშ ხელის ფათურით იპოვა ყუთში ბოთლი, წაავლო თავში ხელი და კარებისკენ გასწია. მორიგემ რომ შეხედა, მიამახა:

— იღლის ქვეშ ამოიღე. არ გაგიტყდეს!



ერთ-ერთ დერეფანში ხმალომოწვდილ ოფიცრებს შეეფთა...

რებდა. არეულობაში, ფაცაფუცში ოფიცრები, იუნკრები თოფებით მას ვერ ამჩნევდნენ და არაფერს ეუბნებოდნენ. ერთ-ერთ დერეფანში ხმალომოწვდილ მოჩხუბარ ოფიცრებს შეეფთა პატარა.

ის ცნობისმოყვარეობამ აიტანა. შესქეპროდა ნამდვილ მეომარებს, მაგრამ შეინიშნა, რომ ეს არ ჰგავდა ნამდვილ ბრძოლას, მეომარები ქანაობდნენ, ბარბაცებდნენ, აქ კილევ იუნკრების ერთი ჯგუფი მით დასციროდა; აღმოჩნდა, რომ ოფიცრები მთავრები იყვნენ.

პატარას მოაგონდა ბურგუნდიის ღვინო და გაუღდა გზას. ბოლოს მან მიავნო იმ ოთახს, რომ-

პატარამ პალატოს ქვეშ ამოიღლიავე ბოთლი და ისე გავიდა

ისევ ისე იმგზავრა: ხან ოთახში შევიდა, ხან მეორეში, გზა ებნეოდა. ის არ ჩქარობდა. მაგრამ ამ დროს, თითქოს ზედ სასახლის სახურავზე, ვაისმა ზარბაზნის ხმა. ფანჯრები აწყარუნდნენ, სასახლეში შეიქნა ჩოჩქოლი და წრიალი...

ამ დროს პატარას გვერდით ორმა ევროპულად ჩაცმულმა კაცმა ვაიარა. იმით ჰკითხეს იქაურ მსახურს, საღარბაზოდ გამოწყობილს; წითელზოლოდებიან ტანსაცმელში ჩამჯდარს:

— რა გზით შეიძლება სარდაფში ჩასვლა, სადა არის სარდაფები?

მოსამსახურემ აჩვენა სარდაფში ჩასასვლელი გზა. როდესაც ისინი მიიმაღლენ, მოსამსახურემ დაშვილებულად შენიშნა:

— ზარბაზნებს რომ დაგიშენენ, სარდაფებშიაც ვერ დაიმალებით!

— ვინ არიან ისინი? მინისტრები? — ჰკითხა პატარამ.

— სადაური მინისტრებია, როდესაც ასე დაფრთხენ!

— მინისტრები?

მოსამსახურემ შეხედა პატარას, დახედა მის წითელ ფუთას, უნდოდა ეკითხა, ვინ არის, აქ საიდან გაჩნდა, რა უნდა, მაგრამ ბოლოს, ჩაიქნია რა უიმედოდ ხელი, სთქვა:

— თათბირობენ!



— დედამ კარტოფლი გამოგიგზავნა...

პატარამ გაიკისკისა და საჩქაროდ გასასვლელი კარებისკენ გაექანა, არ დაუცადა მოსამსახურეს, სარდაფში ჯღომა ზარბაზნების გრილის დროს, სადაც შეიძლება მთელი ღამის გათევაც დასჭირდეს, მას არ სურდა. ის გამალებით ეძებდა არხისკენ გასასვლელ კარებს და კიდევაც მიაგნო მას. გავიდა გარეთ, მიჩხედ-მოიხედა, ჩაახველა, დიძახა კიდევ

ვაც წყნარი ხმით, მაგრამ იქ არავინ იყო. შეიძინა ვინ გასცა.

მოდარაჯე იუნკერს მოსწყინდა, ალბად, ცდა, — გაიფიქრა მან; გაისრისა ყურები, რომელნიც შემთხვევით სხვე'ისაგან გასრესას ვადაურჩა, გაიხურა კარები და გამალებით გაექანა ღამის სინნელეში.

კიდევ ერთხელ გაისმა მდინარე ნევიდან ზარბაზნის გრიალი. ის მიეკრა თლილი ქვის მოაჯირს და თავშეფარებით გაუღდა გზას.

ირველიც სინრუმე იყო. მაგრამ მოედანზე აგერეგერ მოსჩანდა აჩრდილი კაცების, რომელნიც წითელი თალიდან სასახლისკენ მოემართებოდნენ. ისინი თავს იყრიდნენ მოედნის შუაგულთან და ჩვენს პატარაც იქით წავიდა ხტომით და ქვებზე ფეხის წაკვრით!

3.

მაგრამ ის კინაღამ არ წამოეგო თაფების იმ აუარებელ ხიშტს, რომელიც მას წინ შეახვედრეს სინნელიდან.

— ვინ არის?

— თქვენიანი! — წაიხურჩულა მან, რბენით დაქანცულმა.

მაშინ ჯარისკაცთა რიგებიდან ვიღამაც იცნო პატარა ანტონი.

— იპოვე, თუ არა მამაშენი?

— ვერ ვიპოვე... მე სასახლეში ვიყავი!

— როგორ თუ სასახლეში, სტყუი!

შეიარაღებულები გარს შემოხევიენ.

შენ იქ როგორ შეძვერი? რას შერებინა იქა?

პატარა სულს ძლივს ითქვამდა, თან კიდევ ღელავდა; ჩქარობდა, რომ ყველაფერი სწრაფად ეამბნა და თავისი სიპართლის დასამტკიცებლად მან გამოიღო ილიიდან ერთი ბოთლი ღვინო და ვადასცა გინცვიფრებაში მოსულ წითელგვარდიელებს.

— აი ესეც! იუნკერი იქ არ დარაჯობს, წავიდეთ იქა! იქიდან ადვილად შევალთ, ვერავინ დავგინახავს!

— ჩასაფრებულები იქ არ იქნებიან?

— იქ არავინ არის!

ჩურჩულით მოითათბირეს; ანტონს ყველაფერი ესმოდა.

— აბა, ვინჯოთ!

— პატარა, ვითომ, არ სტყუის?

— არა! — სთქვა ანტონის ნაცნობმა წითელგვარდიელმა, — არ სტყუის! რომ ასე არ იყოს, ის თვითონ არ მოისურვებდა ჩვენთან წამოსვლას.

— ხელჩართული ბრძოლა სხვა, თვალთმაქცურად გაცურება კიდევ სხვა! რაკი ჩენი საქმე სასახლაა, კიდევაც უნდა გავწიოთ...

— სამხედრო თვალთმაქცობით! ილიჩს უყვარს თვალთმაქცურად გაცუროს მტერი და გაასულელოს. წავიდეთ, ყმაწვილებო! ჩვენები სასახლეს, ალბად, ყოველმხრივ გავს შემოგრტყენ!

პატარას გულმა ტოკვა დაუწყა, ის ერთ მათგანს კალთაზე ჩამოეკიდა და სასახლისკენ მიათრევადა.

— წავიდეთ! მე არ ვტყუი! წავიდეთ! და თუ იუნკერი იქ დგას, მაშინ მე წინ წავალ და ბოთლს გადავცემ; მოგბრუნდები და ყველაფერს გაცნობებთ...

ზოგს გულიანად ეცინებოდა პატარა ანტონზე, ერთი მათგანი-კი სიყვარულობით მხრებზე ხელს უთათუნებდა.

— მაშ, წავიყვან, გმირო, ვეკაცო?!

— წავიყვანთ!

— წავიდეთ, ამხანაგებო!

პატარა მისდევდა ჯარისკაცებს; რაზმი ფეხაკრევით და ჩუმად გავიდა სასახლის არხისკენ, ამოეფარა თლილი ქვის მოაჯირს და სასახლის თაღთან ამოჰყო თავი. ანტონი თავისი ბოთლით ავიდა შესავალ კარამდის და ისევ უკან ვაბრუნდა.

— არაინა სჩანს! — უახრა მათ.

რაზმი სათითაოდ შევიდა სასახლეში. პატარა შიგ არ შეუშვეს.

— მოიცადე აქ, ან შინ წადი! სადმე წაიჭყოლები! — დედაშენი იტირებს. ჩვენც გული დავგწყდებო. აბა, ასე!

— მე აქ დავიციდი! ბოთლს ვუჩვენებ, ხელს არ მახლებენ.

პატარა შესავალ კარებთან დარჩა.

ზარბაზნების გრიალი და თოფის სროლა მიწყდა.

წევადან ჰქროდა დამის გრილი ნიავი, რომელსაც თან მოჰქონდა ქუჩის ხმაური. ის კიბის ცივ საფეხურზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ადგა და მოთმინება დაკარგულმა შეალო სასახლის კარები.

ფეხაკრევით შეძვრა, გაიარა სხვადასხვა დერეფნით კარგა მანძილი ვაიარა.

მან ღია კარებიდან დაინახა იარაღაყრილი იუნკრების ერთი ჯგუფი, წითელგვარდიელებით გარშემორტყეული

— დანებებულან! — წამოიძახა მან და გაეკანა დერეფნით შეიარაღებულებისკენ, რომელნიც შემოღობული იყვნენ, მაგრამ მხენ და მზიარულდები!

დიდ დარბაზში მას მოესმა ერთი ჯგუფიდან ხმამაღალი ლაპარაკი. ის შეძვრა ხალხში და ყურით დაუდლო. იქ, თოფებზე დაყრდნობილ მუშებს, ერთი მეთაური მოუწოდებდა წესრიგისკენ:

— კიდევ ერთხელ მოგწოდებთ, ამხანაგებო, მშვიდობიანობისკენ, წესრიგისკენ და რევოლუციონური დისციპლინისკენ. აქ და სხვაგან — ყველაფერი ხალხის ქონებაა! შეინახეთ, დაცავით ის. ჩვენ ავიღეთ ხელში ძალაუფლება, ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, პირველ მუშურ სახელმწიფოს. ამიტომ უნდა გამოვიჩინოთ მამაკობა არა მარტო ბრძოლაში, არამედ ახალი ცხოვრების მოწყობის საქმეშიც. ამხანაგებო! ჩვენ შემოგვყურებს მთელი ქვეყანა! ჩვენ ვუჩვენოთ მათ მაგალითი...

პატარა თანდათან წინ მიიწვიდა... გაარღვია წრე და შუაგულში მოექცა... მიაჰყიტა თვალები მოლაპარაკეს და, რა დარწმუნდა, რომ ის ნამდვილად მამამისი იყო, დაეძგერა და კინერზე ჩამოეკიდა!

— საიდან გაჩნდი? — ჰკითხა მამამ.


ლაპარაკი შეწყდა. სირუმი ჩამოვარდა. პატარას გზა უტრეს. ის დაიბნა. მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და მამას ყურში წაუჩურჩულა:

— დედამ კართოფილი გამოგიგზავნა... კართოფილი...

და აჩრია მამას ხელში თავის წითელ ფუთას, რომლის ნასკვით ბოლოები შეშინებული კურდღლის ყურებსკენ ინძრეოდნენ, აცინებდნენ და ამზიარულდებდნენ ყველას, ომგადახდილებს და გამარჯვებამოპოვებულთ.

ლ. გუმბილევსკი.





ოქტომბრის

ღამები.

ებლა სუყველა ღებნით იხსენებს
ღღებებს სისხლიანს და აღმოდებულს,
რადგან ეს გრძნობა ვერ მოისვენებს,
ან რა ჩააქრობს გულს აღშფოთებულს!

რამდენი ცრემლიც დაღვრილა წინეთ
დაბეჩაებულ მშრომელი ხალხის,
იმდენი რისხვა გადმოიწვიმა
ჩამოსაცლელად მუღმივი თალხის...

ცა იყო ნისლით შემოტვირთული,
და ტყვისფერი იდგენ ღრუბლები,
იყო დროშები ზედმართული,
გაბარწყინებული ამაყ შუბლებით.

წამოიშალა უღვრი წყება
სახეგაკეთულ მებრძოლი ხალხის,
და გაუღიმა ჩაქუჩმა ნამგალს,
როცა ბოღმები შემოსწყდა აღვირს.

გაისმა სიტყვა მქლე და მეღვარი,
დაუცხოველი ნებით აღვსილი,
რომ გადვშალათ ყოფნა ნეტარი
სასიხარულო დარში გახსნილი.

ვი, ჩამოდით, ვინც რომ მაღლა ხართ,
გეყოფათ სხვისი შრომა და ოფლი,
ჩვენ ვქმნით ქვეყანას ყველას გასახარს,
ამოვასუნთქებთ ცხოვრებით მოღლილთ...

და აიშალა ზუზუნი ტყვისი,
მოასკდა სისხლი გაგმირულ მკერდებს,
და ძალა მედგრად დაძახილ სიტყვის
აზნევდა ყველგან ახალ იმედებს...

ოქტომბრის დროშა აენტოო წითლად,
ფარშევანგივით გაშალა ფრთები,
ახალმა დღიამ ქვეყანა იხსნა.
მთლად გამოსცვალა ცხოვრების გზები.



(ოქტომბრის სურათები)

VII.

ავტომობილმა ბარკადზე გადასვა კოლა მოტანილ იარაღსა და სანაოგესთან ერთად ერთი განიავარდა ბარკადის წინ, რამაც მტრის ჩასაფრებელი რაზმები სახლებში შეფანტა, რამდენჯერმე დემონსტრაციულად გაისროლა მანევრით და დაბრუნდა ბინაზე...

საქირო იყო ბარკადების შემაგრება, ვიდრე სმოლნი საერთო შეტევაზე გადავიდოდა...

— ეხლა კი მოისვენე, შეილო, დაძინე, უთხრა მამამ, რა შენიშნა, რომ სთვლემდა...

კოლა შეშვრა თავის კასრში.

— მამა, თუ იუნკრები და ოფიცრები მოვიდნენ და დაგვოცეს, გამაღვიძე, — გამოეხმაურა მამას უკვე თვალმდინაბული კოლა და ანგარიშიც კი არ მიუტია თავისთვის, თუ რა სთქვა.

ბარკადის დამცველებში მან საამო სიცილი გამოიწვია.

— კარგი, შეილო, თუ მოვიდნენ და დაგვოცეს, გაგაღვიძებ, — მიუღო მამამ სიცილით, მაგრამ უკვე ნახევრად მძინარ კოლას აღარ გაუგონია...

ცეცხლი აინთო მოფარებით...

ყოველი მხრით დაუთბუნეს ბიქს...

ბარკადაზე კი სიწყნარე იყო, მაგრამ აქა-იქ, შორით, სხვადასხვა უბნიდან, კვლავ ისმოდა კანტიკენტი სროლა...

ფარდნილი აღი წითლად ავარვარებდა ბურუსს. საგანთაოდ იერისის მოლოდინში ბარკადა იზმორებოდა...

დამცველებმა აქა-იქ გუშაგები დააყენეს და, მოფარებით, ცეცხლს შემოუსხდნენ და გაბეს ლიბარაკი...

მკრთალ შუქზე ეს შეიარაღებული მუშები რაღაც ლეგენდარულ რისხვას ჰქმნიდნენ თავისი იმედინი გამომხედვით...

მათი პოზა ამბობდა:

— ჩვენ მონახლინეთ რევოლუცია, მაგრამ დროებითა მთავრობამ გაგწვირა, ბურჟუებს და მემამულეებს ჩაუგდო ხელში ძალა უფლება; ჩვენ რევოლუციაში ვახდენთ ახალ რევოლუციას.

— შეფის ტახტის ნანგრევებზე კი არ უნდა აიგვას ვინმე სხვა თავზეხელაღებული სუფლება, არამედ ხალხის, კოლექტივის: მუშების და გლეხების!..

— გაუმარჯოს საბჭოებს!

— გაუმარჯოს კომუნას!

მეთაურმა პარიზის კომუნდიდან დაიწყო ცალკე ეპიზოდების თქმა; ყველა სულგანაბელი ისმენს წინაბრების თავგანწირვას, რომელთა პირველმა გაბედულმა კვილმა საუკუნეებს ზურგი აუწვა...

მერე ახლანდელი ბრძოლის შედარება იწყა რომელიც მსოფლიოს შეატორტმანებდა.

და ვანა მოტყუებ?

— ვინაა მანდ?

გუშაგმა შეამჩნია ბარკადისაკენ ბობლვით მოძრავი ორი ლანდი, შეეკითხა და თოფი მოიმარჯვა. ლანდები გაინაბნენ...

— ამხანაგებო, იარაღთან! — გაისმა იმავე გუშაგის ხმა.



ბარკადებთან გაჩნდა დამცველთა მრისხანება...

— ვინ ხართ?

— არ გეცნობოდა, თქვენსკენ ვადმოვსული ჯარისკაცები ვართ! — მოესმათ ხმა.

— ხელები მალღო! — რა რამდენიმე მებრძოლით შემოართყა ალყა, უთხრა მეთაურმა.

ასწიეს.

თოფები ჩამოართვეს და გამოაცილეს ბარკადას; შეიყვანეს ოქე ოთახში, რომელიც შტაბის მაგიერობას ასრულებდა. აქ იწვა კოლა: კასრიდან გამოიყვანა მამამ და იქ დაწვინა...

— ვინა ხართ, ამხანაგებო, რომელი ნაწილიდან? რამ გაიძულათ ჩვენ მხარეზე ვადმოვსლა? — ეკითხება ბარკადის უფროსი.

— მარტო ჩვენ კი არა, ხვალ და ზეგ მოვლი პოლკები ვადმოვა თქვენს მხარეზე... ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკები იბრძვიან მუშებისა და გლეხებისთვის, მიწისა და თავისუფლებისათვის, და ჩვენ, როგორც გლეხის შვილებს, რა გვაქვს თქვენთან საბრძოლველი? — წარმოთქვა ერთმა მათგანმა და აღწერა ის საშინელი ტანჯვა-წვალები, რომელიც განიცადეს ჯერ გერმანელების ფრონტზე და შემდეგ აქ, შინ გაშვების მაგიერ რომ აბრძოლებდნენ თავისიანებთან...

— ოფიცრებმა სული ამოგვართვეს; აი, ახლა, ვადმოპარვისას, საშინ ვიყავით და ერთი მოგვიკლეს...

აქვე ახლოა ის ბარკადა, რომელსაც ჩვენ ვიცავდით...

— ისინი ძალიან შეშინებული არიან... ბოლშევიკების გამარჯვებას დღე-ღამეზე უღიან, — დაუმტკა მუორე ჯარისკაცმა...

VIII.

განთიადი...

კოლა გამოადვიდა სროლის ხმამ და, რომ თავის კასრში აღარ იყო, გაჰკვირდა...

— აქ სადა ვარ? — ეკითხა მან და რა ოთახში პასუხის მიმცემი არავინ იყო, წამოხტა, ეცა კარებს და ქუჩაში გავარდა.

ყველა ბარკადახა...

— ამ ჯარისკაცებს აქ რა უნდათ? — გაიფიქრა მან, რა მუშებთან ერთად წუხანდელი ვადმოპარული ჯარისკაცები შენიშნა...

— ეს ჩვენები არიან, კოლა, — უთხრა დიმილით ანდრომ და ხელი გადაუსვა თავზე...

ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა...

სადაღე გაიპარა...

— ვისია? — შეეკითხნენ, როდესაც მან ბარკადაზე პატარა მტირალა გოგონა მოიყვანა.

— არ ვიცი. ალყაფის კართან იჯდა, როგორც ვიღაცა დღე-ღამე ვიარა, ამან მოწყალება სთხოვა, მან კი ზიზილით მიადურთხა და წიხლი ჩაჰკრა...

— მერე?

— მერე და დამენანა... დაეავლე ამ ბავშს ხელი და აქეთ მოვკურცხლეთ... რა გქვიან?

— ოლია, — მიუგო გოგონამ კანკალით.

მისი ფერმაკრთალი, გაღურჯებული სახე გულს უკლავდა მებრძოლებს...

— შენ ოლია, მე კოლია... ქვით! — უთხრა კოლამ გოგონას დიმილით.

— მე და შენ ერთად ვებრძობოდათ; თანახმა ხარ?

— კარგი...

ის ხელდავდა მხოლოდ იმას, რომ კეთილ ხალხში ჩაეარდა.

— მამა, იქ, სადაც ეს ებოვნენ, ფანჯარაში შევახშიჩე ჩასაფრებული იუნკერები, — უთხრა მამას და გაუშვირა ხელი იქით.

— კარგი. შეიყვანე შენ ეგ გოგონა ჩვენებთან და გაათბე... აქამე რამე...

— წავიდეთ, — დაუჭირა ხელი გოგონას და შევიდნენ...

— შენი დედა-მამა სადა ცხოვრობს, ა? — შეეკითხა კოლა, რა გოგონა კრტა შეთბა, დანაყრდა.

— აღარ მისხოვს, დედა მყავდა თუ არა, მამაჩემი კი მწვლავური იყო; ეს ორი კვირაა სადაღე წაიყვანეს მილიციელებმა და არ ვიცი სადაა...

დედნაცვალმაც აღარ მიმიკარა და გამოამადლო; ახლა მასთან ძია მეთევზე ცხოვრობს... ეს მესამე დღეა ქუჩაში ვათენებ... შშინა... მკივა...

— ნუ გეშინია, მე მოგივლი. მოიცადე, ის ჯალათი ბურჯელები დავწყვიტოთ; მერე კი... ამხნევებდა კოლა.

— მეზობლიანთ ვალკომ მითხრა, მამაშენი დახვრეტეს... მერე კი აღარ მითხრა, დახვრეტის შემდეგ სად წავიდა მამაჩემი... დახვრეტა რას ჰქვიან? — ეკითხებოდა გოგონა გულღერყვილიად.

— დახვრეტა? ჰმ... დახვრეტა ისაა, რომ ბუჰ შუბლში და მოჩხა...

— როგორ?

— როგორა და, ვისაც დახვრეტენ, ის ვეღარსად წავა; იმას წაიღებენ ხოლმე და ან ზღვაში გადაადებენ, ან ნევაში, ან არა და სასაფლაოზე, — მიუგო ამაყად კოლამ, თითქოს ამით ეწინებოდა მას:

— აი, მე ვიცი და შენ არაო...

IX.

— ვინაა ის ლაწილიკი, იქ რომ დაცოცავს? იკითხა ოფიცერმა, როცა პატარა ბიჭი შენიშნა მოკლულ იუნკრებში.

ის საეზნე ჩანთებს უცლიდა მათ...
— ესროლეთ...
გაისმა სროლა...
ბიჭი ამოეფარა მოკლულებს...
სროლა გრძელდება...

ის კი წელა მოფოფხავს უკან, უკან...
აჰა, უკვე მივიდა ბარკიდასთან...
— ის რას მოათრევს?— იკითხა პეტრომ, როცა მოუახლოვებული კოლა შენიშნა პატარა ტომრით...

— ვინ იცის... ნანადირევი იქნება რამე.

რა ბარკიდას მიუახლოვდა კოლა, აიწია და ისკუპა...

— აი, გაიყავით!— უთხრა მან მუშებს და ვაზნებით სავსე პარკუკა გადასცა...
თანდათან სუსტდება, ფერი მისდის...
— რა მოგდის, შვილო?

— არ ვიცი, მამა, აი, აქ მეწვის, მტკივა, — უთხრა და ბარკალზე მოივილო ხელი...

სისხლი ჩამოსდიოდა ტოტიდან...

— დაჭრილი ხარ?

— არ ვიცი... ვაზნებს რომ ვაცლიდი მოკლულებს, მაშინ თითქოს ვილაკამ ნემსი მიჩხვლიტაო...

— ჰმ... ტყვია... მგარამ... არაა საშიში.

შეიყვანეს წებბში, რომელიც იმავე დროს პირველი სექიში დახმარების პუნქტიც იყო...

— ჭრილობა საშიში არაა, — განაცხადა ფერშალმა, რა გახადეს და ჭრილობა მოჰბანა, შეუხვია...

— ახლავე მოვა ლაზარეთის ორთავა და გაგაზავნიო...

— როგორ? უნდა დავწვე? — იკითხა კოლამ უკმაყოფილოდ.

— მაშ... თორემ გაგიძნელებდა...

კოლას არ იამა ეს, ფერშალი მეორე ოთახში გაეიდა, სკადა გაპარვა, ბარკიდაზე გასვლა, მგარამ რა ორი ნაბიჯი გადასდგა, თავი ველარ შეიპარა, დაეცა...

ოლია ატირდა...

— მოიდ აქა და მიშველდე ადგომა.

გაგონა მივიდა და დაუწყო წევა, მგარამ ძვრა ვერ უყო...

— მოიცა... აბა, ვინ ვითხრათ, რომელია მოწყალეების დამ ანამ — და ააყენა კოლა, მიიყენა ტახტამდის და დააწვინა...

კოლა თანდათან სუსტდებოდა, გრძობას კარგავდა...

ორთავლა რომ მოვიდა დაჭრილების წასაცენად, და კოლაც დაუღეს ზედ, ოლია ატირდა...

— მარტო არ დაერჩები აქ, წამიყვანეთ მეც მათთან...

ვერაფრით დააჩუმეს...

— მე მოვუვლი ლაზარეთში, — ამბობდა ოლია,



ის საეზნე ჩანთებს უცლიდა მათ...

თითქოს ერთი კვი გამოცდილი მოშველელი ყოფილიყოს...

მეტრე გზა აღარ იყო, გაატანეს...

X.

ბარკიდა რამოდენიმე დღის შემდეგ თავს კი არ იცავდა, არამედ უკვე შეტევებზე გადადიოდა...

ჯარისკაცების რაზმები ჯგუფ ჯგუფად და თვით თვულად ყოველ წუთს გაღმოდოდენ აჯანყებულთა მზარტე...

აჯანყებულთა დროშა უკვე თავრიდის სასახლეზე აღიმართა!...

— დამფუძნებელი კრება? — იკითხა დედაკაცმა, რომელიც კალათით სანოვავეს მოეხიდიბოდა და შეჩერდა პლაკატის წასაკითხავად...

— უჩრდილიკა?

— ჰო...

— მატროსებმა ვარტყეს, — უთხრა ღიმილით ველაცა სტუდენტმა და სანქაროდ მოშორდა...

— კერესკი? მინისტრები? სადაა დროებითი მთავრობა?

— დატყვევებულია...

— ვინ დაატყვევა?



— რეკომმა...

— არა, გაიქცენო? — გაისმის შეკრებილ ხალხში.

ზოგს უხარია, ზოგი შიშით აიწურა...

— მაშ სულ ყველას დაგვხორავენ ახლა ბოლშევიკები?

— მდიდრებს კი, მაგრამ ჩვენ კი არა, — მიუფო კალათიანმა დედაცქმა.

— ვიემ! — იციღო პირველმა და საჩქაროდ გაეშურა...



შეხვედნ ბელას...

ასტყდა სიცილი...

— ვინც შეურიგდენა საბჭოთა ხელისუფლებას, ყველა იცოცხლებს, ხელს ვერაფერ ახლებს, ვინც არა — და... ტრახ! — ჩაერი პატარა ბიჭი, რომელიც კოკლობდა და პატარა ბოწინტს ეყრდნობოდა...

— არა, ხომ მართალია? — შეეკითხა იგივე პატარა გოგონას, რომელიც განუყრელად თან ახლდა... დამსწრეებმა ცნობისმოყვარეობით დაუწყეს თვალღიერება.

— ვისი ხარ, ბიჭუნე? — შეეკითხა ერთი მოქალაქე სამხრეთული იერიი, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და, რა ამ სიტყვებს მოჰკრა ყური, შეჩერდა..

— მე? ბოლშევიკი და ბოლშევიკის მიუფო ამაყად.

— ვინა მამაშენი? საღა?

— მუშაა, ვასილის კუნძულიდან. ამ ერთი კვირის წინ ბარიკადაზე იბრძოდა; მეც იქ დამჭრეს იუნკერებმა... ახლა არ ვიცი საღა; იქ ბარიკადა აღარაა და... აი ესეც ჩემთან იყო, — მიუფო ბიჭმა და გვერდზე მდგომ გოგონს ჩაუჭირა ხელი...

— ვინაა, შენი და?

— არა. ბრძოლის დროს ქუჩაში ვიპოვე...

მოქალაქე მოხიბლული იყო ბიჭის ასეთი სხარტი პასუხით...

ავტომობილს დაუძახა.

შოფერმა საღაში მისცა ღიმილით.

— აბა, ჩახედით, მიმართა ბავშვს მან.

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ნუ გეშინიათ, წამოდი, — უთხრა მან, რა ბავშვებს გაუბედობა შეიტყო და ჩაჯდა.

— წამოვალთ, მაგრამ... ჯერ გვითხარით, ვინა ხართ? თუ ბოლშევიკი ხართ, — შეეკითხა ბიჭია...

— ჰო, კარგი... წამოვალთ, ბოლშევიკი ვარ...

სიცილს ვერ იჭერდა ის.

XI.

სმაონის წინ რომ გაჩერდა ავტომობილი, მომყვანმა განკარგულება ვასცა ბავშვების მოვლის შესახებ.

— შენ ის არა ხარ, ამ ერთი კვირის წინეთ რომ იყავი აქა? — შეეკითხა მორიგე საკომენდანტოში...

— ჰო, ძია, ისა ვარ... აი, თქვენ რომ რევოლვერი მაჩუქეთ...

— ეგ გოგონა ვიღა?

— ესა? ეს ჩემი თანამებრძოლია ბარიკადაზე.

დამსწრეები აღტაცებით შესცქეროდნ.

— ესენი არიან კომუნის ყვავილები...

— ესენი არიან მომავლის იმედები, — ჩურჩულდნ ისინი...

სათაწადო ადგილას მოათავსეს ბავშვები.

ლაზარეთის ადმინისტრაცია მიეღო დღე ექვსდა გაპარულ ბავშვებს...

— როგორ, გარეთ ერთი ორომტრიალია და მე აქ ვიწვე? — ამბობდა კოლა, როცა ცოტათი მოკეთდა და ჯიკვე შეედლო სიარული...

მან ოლიისთან ერთად გადასწყვიტა გაქცევა, და რა დაბურთული ორთველა გადიოდა ეზოდან დაკრძალვის მოსაყვანად, ბავშვები ჩუმად აიპაიენ ხელდა და რა ქუჩაში შეჩერდა ერთი საწვრიბალო ღუქნის წინ და გამძღოლმა გადასძახა მელქენს:

ეი, ძმობილო, პაპროსი არა გაქვს? გამო-
იტანე, — ჩემად ვადმოხსენდნ, და...

სახიდავის დაძვარათან ერთად ისინიც მოეფარ-
ნენ ქუჩის კუთხეს. ბარაკდებუ აღარაივინ აღარ დახ-
ვდა; ბარაკდა ანგრეული იყო გამარჯვების თქმით.
ის ეხლა ყველას ეკითხებოდა მაშის ამბავს, რომელზე-
დაც ძალიან დარდობდა, მაგრამ მისთვის ეხლა ვისა
სცლოდა, რომ მიეგო პასუხი?

ისევე თავის ნაწინაბო მორიგეს შეეხებოდა ამბის
გაგებებს, რომელიც შეჰპირდა, რომ უსათუოდ გაუ-
გებდა.

ამ ხნის განმავლობაში, როგორც წინეთ, ისე
ეხლაც ესმოდა ბევრი რომ ძია ილიჩზე, რომლის ნა-
ხვაც ძალიან ენატრებოდა; ამ სურვილის დაკმაყო-
ფილებაც საძნელეო იყო; აბა, სიღ სცალოდა საქ-
ვეყრა საქმით დატვირთულ ბელადს?

მაგრამ...

როდესაც, საღამოზე, დაღლილი სახით, მაგრამ
შტაკიც ნაიხივით ჩამოდიოდა ლენინი, ვიღაცემ წა-
მოიძახა:

— აგერ ამხანაგი ლენინი, ჩვენი სიამაყე.

კოლამ ყური სცქვიტა.

აუსრულდა დიდი ხნის წაღილი...

ბევრი აღარ დაუყოვნებია და გავქანდა, კოქ-
ლობით, შესაგებებლად.

— ძია ლენინს ვაშა! — შეჰყვირა მან და ქუდი
პაერში შეათამაშა.

ბელადი შეჩერდა ბავშვის ხმაურზე...

მისი დაღლილი შუბლი ნათელით
შეიმოსა...

შეჩერდა...

— ვისია ბავში? იკითხა მან ალერსით.

— არ ვიცი. ვიციო მხოლოდ, რომ

მრავალ საშიშ დავალებას ასრულებდა ბა-
რიკადებიდან, — მიუფო ერთმა მესწავლურმა,
რომელიც თან მისდევდა ბელადს და
რომელსაც კოლას ამბების ზოგიერთი ეპი-
ზოდებისათვის მოეკრა ყური...

— რაღა კოქლობ?

— ბარაკდაზე დამჭრეს...

— ვაშა პატარა კომუნარს, — შესძახა
მან ალტაცებით...

— აი, ესეც ჩემთან ერთადა თანავე-
ბრძოლი, — უთხრა ბიჭმა და ოღიაზე მი-
უთითა...

ძია ილიჩმა ვადაპოცნა ორივე სი-
ყვარულით და, რადგანაც არ სცალოდა,
გაუღდა გზას...

ბავშვებმა სიხარულით გააყოლეს ავალი...

მათ დიხანს არ დავიწყნით
ალერსი...

ისინი შემდგომაც ხშირად იგონებდნენ ამას
აპყაღ...

XII.

ქუჩებში თოვლქაპია...

დღესა მარბავენ ოქტომბრის მსხვერპლებს...

მრავალათსიანი პროცესია მიაცილებს ძმთა
სასაღლაოზე გმირთა კუმბოებს წითელღენტიან გვირ-
გენიებით...

მუსიკა გრიალებს სამელოვიარო მარშს!...

წითელი ღროშები ოდნავ იხრებიან კუმბოებზე
საბატოლად...

შორს გაისმის სალიუტი...

ტრიბუნდან მქუხიან სიტყვები ამცნობენ გმირ-
თა სახელებს.

— როგორ, მამაც?

აღმობდა კოლას, რომელიც ხილში იყო, და
სამარის პირას მდებარე კუმბოებისკენ გზა გაიკვლია...
მოსძებნა მამა; გადახეცია...

დამსწრეებში ჩურჩული შეიქნა...

— კარგი, კოლა, გეყოფა, — უთხრა გოგონამ
რომელიც განუყრელად თან სდევდა, და ხელები
მოაშვია, ააყენა...

მხემ ყური აუწია ნისლას ფარდას, რომ ერთ-
ხელ კიდევ ვადაეკოცნა გმირთა კუმბოები...

ერთაწმინდელი





ბრძოლის და გამარჯვების ცხრა წელი.

წელს ჩვენ მეცხრეჯერ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის დიდი რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

ცხრა წელი გავადა მას შემდეგ, რაც მუშებმა და გლეხებმა თავის რკინისებურ ხელში იიღეს ძალა-უფლება და შეუდრკველ მუშაობას ეწვიან ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცების და ახალი სოციალიზმის შექმნისათვის.

მხოლოდ ეკლიანი და მძიმე გზის გავლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქვეყნიერების მიქმცხედ ნაწილზე მუშათა და გლეხთა განთავისუფლება, მათი ხელისუფლების დამყარება.

ნორჩმა თაობამ, რომელიც ძველ აუტანელ ცხოვრებას არ მოსწრებია, უნდა იცოდეს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი მუშები და უფროსი ძმები და რამ იძულა ისინი მოეხდინათ ოქტომბრის გადატრიალება. იმ, ამის შესახებ ვეჭვება საუბარი.

ათეული და ასეული წლების განმავლობაში მუშები და გლეხები მეფეების და კაპიტალისტების მძიმე ჩაგვრის და შევიწროების უღელში იმყოფებოდნენ.

მთელი მიწა ერთ მუკა მემამულეებს ეკუთვნოდა, თითო გლეხებს კი ცოტა ჰქონდათ. რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ, ისინი იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მიწები მემამულეებისგან, ან მილიონდენ მემამულეებთან უმნიშვნელო ფასებში საბუშაოდა.

ფაბრიკები, ქარხნები და რკინის გზები ბურჟუაზიას ეკუთვნოდა, მუშები კი აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ.

ხშირად გამოჩნდებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც შეებრძოლებოდნენ მეფის, მემამულეების და ბურჟუაზიის ბატონობას. ამიტომ მათ იჭერდნენ, სცემდნენ, ალპობდნენ ციხეებში, ასახლებდნენ და ხერტდნენ კიდევ, მაგრამ თავისუფლებისადმი მიწრაფება ძლიერი იყო.

1905 წ. იფეთქა პირველი რევოლუცია, მაგრამ მუშების და გლეხების ამბოხება შეიარაღებული ძალით ჩააქრეს. მუშებმა ვერ გაითავისუფლეს თავი, გლეხებმა ვერ მიიღეს მიწა.

ამ რევოლუციის შემდეგ მუშების და გლეხების გულში მღელვარება დღით დღე მატულობდა და იზრდებოდა...

1914 წელს დაიწყო მსოფლიო ომი. ომი დაიწყო სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტებმა იმისათვის, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც გაიმარჯვებდა, შესაძლებლობა მისცემოდა დემონსტრაცია და გავრცელება დამპყრობელი ქვეყნების მშრომელი ხალხი.

ასეთივე მტაცებლური მიზნები ჰქონდათ დასახული რუსეთის ბურჟუაზიას და თვითმპყრობელობას, და ამიტომ მათაც მიიღეს მონაწილეობა კაპიტალისტური სახელმწიფოების ამ ფერხულში და გვერდში ამოუდგინეს, როგორც მოკავშირეები, ინგლისისა და ფრანგეთის კაპიტალისტებს.

სისხლისაგან დაკლილი ქვეყნის ცარცვა-გლეჯა სამი წელიწადი გრძელდებოდა. ომით და სიმშვილით თავხედობას ვეღარ გაუძლეს, მოთმინების ფაილა აიკისა, და რუსეთს შავ ცაზე დიდი რევოლუციის ცისკრის სხივები აღმოაჩნებოდა. ეს მოხდა 27 თებერვალს.

რევოლუციის სათავეში ბურჟუაზია მოექცა. ის შეეჩინა ხელისუფლების ბატონ-პატრონი. ამ საქმეში მას მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერებიც უწყობდნენ ხელს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ „ეს რევოლუცია ბურჟუაზიულია და ამიტომ უბურჟუაზიოდ მთავრობა არ შეიძლება“ ამ მიმდინარეობაში ნიადაგი მოიპოვა წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში, პოლიტიკურად მერყევ გლეხობაში და მუშებში.

ძალა-უფლების მქონეთა და მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებათა შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა დრმა უფსკრული იყო. ბურჟუაზიის და მემამულეების წარმომადგენლებს — რომაინკო — მილიუტარებს და კონოვალოებს, რომლებმაც თავიანთი ტანსაცმელები ნაჩაგრევად შედეგის რესპუბლიკის ფერით, რესპუბლიკა და მისი წარმომავალი რევოლუცია სხადათა ჩაიგდეს რა ხელში ძალა-უფლება, ისინი მონარქიაზე ოცნებობდნენ, ისეთ მონარქიაზე, რომელიც ბურჟუაზიის ბატონობას უზრუნველყოფდა. რევოლუციის შემდგომ განვითარებას ისინი ანაოქიად სთვლიდნენ. ასეთი ხელისუფლება, რასაკვირველია, მუშების და გლეხების ნებისყოფას ვერ გამოხატავდა. ამ ხელისუფლების ვერ დაერქმეოდა ხალხური ხელისუფლება. ძველი წესწყობილების მტაცება — ახალ ხელისუფლებასა და მშრომელ ხალხს არ ესმოდა ერთმანეთის.

1917 წ. ზაფხულამდე გაბატონებული პარტიები იყვნენ მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები. მათ ხელში იყო მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოები, ისინი შედიოდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში; ისინივე ხელმძღვანელობდნენ სამხედრო კომიტეტებს ჯარში. ყოველივე ეს მათ საშუალებას აძლევდა, თუკი ისურ-

ვებდნენ, მოეშორებიათ ბურჟუაზიის ბატონობას და თვით ავლით ხელში ხელისუფლება. შემთანხმებულ პარტიებს ეს არაფრის გულისხმავის არ უნდოდათ, რადგანაც ფაქობდნენ, 1917 წლის რევოლუცია ბურჟუაზიულია, და ამიტომ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია უნდა იდგეს. პარლემენტარული რევოლუციისათვის დრო, — ამბობდნენ ისინი, ჯერ კიდევ არ დამდგარა.

ბოლშევიკები კი საქმეს სულ სხვაგვარად უყურებდნენ.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მუშათა და გლეხთა ინტერესების ბურჟუაზიის ინტერესებთან შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ამიტომ ყოველ მთავრობას შეეძლო დაეცა ან ერთი ან მეორე კლასის ინტერესებისა. მენშევიკებსა და სოციალისტებს, რომლებიც ისდნენ მთავრობაში, გულითაც რომ მოესურვებიათ მშრომელთა სასარგებლოდ მუშაობა, ამას ისინი მიანც ვერ შესძლებდნენ, რადგანაც მათ წინააღმდეგობას გაუწყვედა მთავრობის ბურჟუაზიული ნაწილი.

ბურჟუაზიული მთავრობის და მენშევიკ-სოციალისტ-რევოლუციონერთა მოღვაწეობამ თანდათანობით გამოაფხიზლა მუშათა და გლეხთა მასები. მათთვის ნათელი იყო, რომ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან რაიმე სიკეთის მოლოდინი უაზრობა იყო. საჭირო გახდა თვითონ ეზრუნათ თავიანთი ინტერესებისათვის...

მუშათა და ჯარისკაცთა მასებმა, გასწყვიტეს რა კავშირი შემთანხმებლებთან, გადაწყვეტი ბრძოლა დაიწყეს საბჭოებისათვის ძალა-უფლების გადასაცემად.

„ძალა-უფლება საბჭოებს“, „ზაგი და თავისუფლება“ — აი, ის ლოზუნგები, რომლებითაც გამოდიოდნენ მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ბოლშევიკების წითელი დროშის ქვეშ.

საბჭოების ძალა-უფლებისთვის ბრძოლა მორიგე და გადაუდებელ ამოცანად გახდა. მუშები და ჯარისკაცები, რომლებმაც პარტიში ჩამოადგდეს მეფე, კაპიტალისტების და მემამულეების დასაზოხადად ეზადებდნენ...

ითვალისწინებდა რა მშრომელი ხალხის მსოფლიო მოთხოვნას, რომ ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადასულიყო და იმ ძლიერ ძალას, რომელიც მიჰყვებოდა ბოლშევიკურ პარტიას მუშების და ჯარისკაცების სახით, — ბოლშევიკური პარტია და ახ. ლენინი უკვე სექტემბერში პირველ რიგებში აყენებდნენ საკითხს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის და ძალა-უფლების დაპყრობის შესახებ. წინეთ, როდესაც მუშათა და ჯარისკაცთა მასები ჯერ კიდევ მიყვებოდნენ შემთანხმებლებს, „ძალა-უფლების დაპყრობა“ მხოლოდ ავიტაციის და პრაზავანდის საკითხი იყო,

ახლა კი, როდესაც მთელი მშრომელი მასა შემოიკრიბა ბოლშევიკების ირგვლივ — ძალა-უფლების დაპყრობა! **მოქმედების** მორიგი ამოცანა და საკითხი შეიქმნა.

ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აშხ. ლენინი, ის სწერდა წერილების მიუღრიგს (ამ ხანებში აშხ. ლენინი ემაღებოდა კერენსკის ჟანდარმებს) ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პეტროგრადის და მოსკოვის პარტიულ კომიტეტებს.

უ. კ. გაგზავნილ წერილში ლენინი მიუთითებს, რომ უკვე მზადაა ყოველგვარი პირობები აჯანყების წარმატებით მოსაწყობად. ამიტომ, ეს

ბოდენ პეტერბურგს. ჯარის სარდალმა მოიხსოვდა პეტერბურგიდან რევოლუციონური რაზმების გაყვანას გერმანელების წინააღმდეგ. რევოლუციონური ჯარი რომ არ იქნებოდა, ბურჟუაზიულ-მონარქიულ კონტრ-რევოლუციას შედარებით უფრო ადვილად შეეძლო დაემარცხებია რევოლუციონერ მუშათა რაზმები და დაემყარებია ბურჟუაზიის სრული ბატონობა.

დაყოვნება ერთი წუთითაც აღარ შეიძლებოდა...

20 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭოს აღმასკომთან, რომელიც მაშინ უკვე სრულიად ბოლშევიკური იყო, **სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი** არსდება.



შეიარაღებული წითელგვარდიელები

ხანა არის ყველაზე უფრო შესაფერისი ძალა-უფლების დასაპყრობად, შემდგომ კი შეიძლება რევოლუციონური ტალღები შესუსტდეს და მაშინ გამოსვლივშიც დაგვიანებული და უნაყოფო იქნებოდა.

შემდეგ აშხ. ლენინი მიუთითებდა, საერთაშორისო მდგომარეობაც გვეწყობს ხელს, რომ რევოლუციონურმა პროლეტარიატმა აუცილებლად დაიპყროს ძალა-უფლებათა.

10 ოქტომბერს აჯანყების საკითხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ისმება, სადაც გამოაქვთ რეზოლუცია, რომელიც ეწოდება, რომ როგორც ვარემე, ისე შინაური მდგომარეობა „დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას“.

ასე ემზადებოდა ჩვენი პარტია ბურჟუაზიული მთავრობის ჩამოსაგდებად და მუშათა კლასის დიქტატურის დასამყარებლად.

ოქტომბრის დასასრულს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, გერმანიის ჯარები უახლოვდებოდა

ის დაარსებულ იქნა წინააღმდეგ მთავრობის სამხედრო შტაბისა, და მისი ამოცანა იყო რევოლუციის დაცვა და აჯანყების მოწყობა.

პეტროგრადის საბჭო და სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი განუწყვეტილად იძლევა განკარგულებებს. სმოლნი ხდება აჯანყების ცენტრი.

რევოლუციის შტაბი დღე-ღამე მუშაობს. 25 ოქტომბერს დილით ალყა შემოარტყეს ზამთრის სასახლეს, სადაც ჯერ კიდევ გამაგრებული იყო დროებითი მთავრობა. საღამოთი ის უკვე აღებულ იქნა.

25 ოქტომბერს, დღის პირველ საათზე, პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის სახელით აშხ. ტროცკიმ განაცხადა: „დროებითი მთავრობა უკვე აღარ არსებობს... ჩვენ ვაპირებთ ისეთი ხელისუფლება შევქმნათ, რომელსაც სხვა მიზანი არ ექნება, გარდა ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა საპრობების დაკმაყოფილებისა.“

ამხ. ტროცკის შემდეგ ტრიბუნაზე აღის ამხ. ლენინი, რომელიც აქამდის არაღვლეჯულად ცხოვრობდა. მოკლედ და ნათლად ჩამოაყალიბა ამხ. ლენინმა მომხდარი ამბების შინაარსი. „მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობაზედაც ყოველთვის ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, უკვე მოხდა,“—განაცხადა ამხ. ლენინმა და აქვე მიუთითა, რომ ამ რევოლუციის აზრი და მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ „ღიაგრული მასები თვით შექმნიან ხელისუფლებას“. მაგრამ პროლეტარიატის და გლეხობის წინაშე ახლავედგას უდიდესი და ურთულესი ამოცანები, უპირველეს ყოვლისა „ერთი მორიგი ამოცანათაგანია — ომის დაუყოვნებლო მოსპობა; მაგრამ იმისათვის, რომ მოვსპოთ ომი, რომელიც მკიდროდა შეკავშირებული კაპიტალისტურ წესწყობილებასთან, აუცილებელია დავამარცხოთ თვით კაპიტალისტებიც“.



ერთი ზამთრის სასახლეზე 25 ოქტომბერს დამით.

შინაურ ამოცანათა შორის ამხ. ლენინი აღნიშნავს, რომ საჭიროა პროლეტარიატის და გლეხობის შეერთება, წარმოების ახალი საფუძვლებისაკენ წარმართვა. „რუსეთის მესამე რევოლუციამ, — ამბობს ამხ. ლენინი, — ბოლოს უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმამდე“.

ოქტომბრის გადატრიალება ფაქტი შეიქნა. რუსეთი ვახდა მუშურ—გლეხური საბჭოთა ქვეყანა.

მეორე დღეს, 26 ოქტომბერს, ვამარჯვების შემდეგ, მუშათა და გლეხთა მასების ბედ-იბოლის გადაწყვეტა—სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-II ყრილობა—მიიღო მთელი რიგი შესანიშნავ გადაწყვეტილებათა.

ასე დამყარდა ქვეყნიერების მეექვსედი ნაწილზე მუშათა ძალა-უფლება, ასე შესდგა მუშათა და გლეხთა პირველი მთავრობა.

მოსკოვში ბრძოლა საბჭოებისათვის მთელ კვირას გრძელდებოდა.

შხოლოდ 2 ნოემბერს კონტრ-რევოლუციონური ძალები საბოლოოდ იქნა განადგურებული და ძალა-უფლება მუშების ხელში გადავიდა.

ახლა ქალაქებში ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდა თითქმის უბრძოლველად.

ფრონტიც ერთბაშად რევოლუციონური ხელი-უფლების მხარეზე გადავიდა.

საბჭოთა ხელისუფლების ერთი უპირველესი ამოცანა იყო ომის შეწყვეტა. 7 ნოემბერს სახალხო კომისართა საბჭომ მიმართა მებრძოლ მხარეებს წინადადებათ ზაჟის ჩამოგდება შესახებ. გერმანია და ავსტრია დათანხმდნენ დაეწყათ მოლაპარაკება ზაჟის შესახებ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

22 ნოემბერს სამხედრო მოქმედება შეწყვეტილი იქნა. 9 დეკემბერს დაიწყო საზოგადოებრივი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში. ზაჟის ის პირობები, რომელიც რუსეთს წამოუყენეს, მეტად მძიმე იყო, მაგრამ ომის განგრძობაც შეუძლებელი იყო. საბჭოთა ხელისუფლებას ეს პირობებოდა შესვენება, რომ ამ დროს განმავლობაში დაემარცხებოდა კონტრ-რევოლუცია, მაგრამ ბრძოლა კონტრ-რევოლუციასთან დიდხანს გაგრძელდა.

სარგებლობდნენ რა უცხოეთის კაპიტალისტების დახმარებით, კონტრ-რევოლუციონერები აწყობდნენ აჯანყებებს რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში. თეთრგვარდიელების მოქმედების შთავარი ადგილი იყო დონი, საიდანაც დაიწყო მოქმედება გენერალმა დენიკინმა, რომელიც ფიქრობდა მოსკოვის ხელოვნად დასაბრუნებლად. კონტრ-რევოლუციონერები კვლავ მონარქიის შემოღებას. ციმბირის მხრიდან მოდიოდა აღმართი კოლჩაკი, ჩრდილოეთის მხრიდან—გენერალი იუდე-ნიჩი, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობამ შექმნა ძლიერი და უძლველი წითელი არმია, რომელმაც, მიუხედავად ტუდი შეიარაღებისა და მძიმე პირობებში ყოფნისა, მარცხ შესძლო მასზე გაცილებით უკეთეს პირობებში მყოფი და შეიარაღებული მტრების დამარცხება. შხოლოდ 1920 წელს დასრულდა ბრძოლა სამხედრო ფრონტზე. მისი დასრულების შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი აღმშენებლობა და რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება.

საბჭოთა ხელისუფლება—სოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფო—წარმოადგენს მთავრობის მთელი ქვეყნის მშრომელთათვის.

ის დღეს თავისი არსებობის 9 წლის თავს აღწევს სასწაულოვანად. — აღნიშნავს თავისი ბრძოლის და გამარჯვების 9 წელს.

გაუმარჯოს ამ დღეს!



ოქტომბერი

ზღვად გაშლილი
ქუჩის ბოლომა,
ზღვა გულეში,
ზღვა ხმაური,
ქუჩის მზერა,
ქუჩის ბოდვა,
მზის დავლური.
გამოესხა ქალაქს ფრთები,
გამოენთო
ოქტომბრის დღეს,
ბანს აძლევენ
სოფლის მთები,
ყველა მღერის,
ყველა მისდევს.
ვინ მოჰყვება
ამბავს წარსულს,
მაგშაეც იცის,
თუ რა მოხდა.
რკინის ხმაურს,
ცამდის ესუღს,
ვინ წააქცევს,
რა გამოხრავს?
ყოველ ჩვენგანს
გულის ფიცარს
აწერია გამარჯვება,
ყველა ფარავს,
ყველა იცავს
მზის ანდერძს და
მზის დიდებას.
რა დაბამს
ამ სიგიჟეს,
ცაში გაჭრილ
პროპელერებს,

გულბომბა და
ლომა ბიჭებს
ვინ შეუკრავს
რკინის ხელებს!!
რა ვადათელის
შინდის დროშებს,
ბარაბანის ხმას ადერდილს,
პიონერებს, ქუჩის ბავშვებს,
ქალებს, მუშებს
მკერდადღედილს!
ვინ ამოთელის მზის სიხარულს,
ზღვის დღღვას და
ბუკის ძახილს,
მოზიბინე სოფლის ხმაურს,
სოფლის შარებს
გულგადახსნილს!
გამოესხა ქალაქს ფრთები,
გამოენთო
ოქტომბრის დღეს,
ბანს აძლევენ
სოფლის მთები,
ყველა მღერის,
ყველა მისდევს.
რა დაბამს
ამ სიგიჟეს,
ცაში გაჭრილ
პროპელერებს?
გულბომბა და
ლომა ბიჭებს
ვინ შეუკრავს
რკინის ხელებს!!

ჟ. მდივანი.





ჩვენს ქვეყნს მსოფლიოში

ჩინელი პიონერების შეტაკება ქანდაკებებთან.

ჩინეთი ბევრთა შრომის კლასიკური ქვეყანაა. მხოლოდ მარტო შანხაიში ქარხანა-ფაბრიკებში, რომლებიც უცხოელებს ეკუთვნის, მუშაობს 30,000 ბავში 12 წლისაზე ნაკლები ხნოვანებისა.

ჩინელი შინამრეწველნი, იმ მიზნით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ უცხოეთის კაპიტალის სამრეწველო ტეხნიკას,—ყოველგვარ ექსპლოატაციას ეწევიან. ბავშვა შრომის ასეთ პირობებში ფართე ასპარეზი პიონერ-მოძრაობისათვის, მაგრამ რეაქცია და კულტურული ჩამორჩენილობა ხელს უშლის ფართედ გავრცელდეს ბავშვა მოძრაობა.

ჩინეთის პიონერთა ორგანიზაციები არსებობენ უმთავრესად ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში—შანხაიში, ხანკოუში და კანტონში.

კანტონის ორგანიზაცია—ყველაზე უფრო ძველი მათ შორის—უმთავრეს მუშაობას აწარმოებს მხოლოდ რევოლუციონური დღესასწაულების, გამოსვლების და დემონსტრაციების დღებში.


უკანასკნელ დროს პიონერთა ორგანიზაციები დაარსდა შანხაიში და ხანკოუში. ამ ორგანიზაციებს, რომლებიც დაარსებულ იქნა კომკავშირის ხელმძღვანელობით, რევოლუციონური ხასიათი აქვთ. მათ შესძლეს პროლეტარულ ბავშვა შეკავშირება, რითაც ხელი შეუწყვეს მთელ რიგ გაფიცვებს, რომლებშიაც მოზრდილებთან ერთად მონაწილეობდნენ ბავშვებიც.

ამასწინეთ პეკინში დანიშნული იყო დემონსტრაცია, რომელში ბავშვებაც მიიღეს მონაწილეობა.

ბავშვა სასკოლო ორგანიზაციის კოლექტივი, სრული განწყობილებით, წითელი დროშებით და რამოდენიმე ველოსიპედით წინ მიემართებოდა დემონ-

სტრაციის შესაკრებ ადგილზე, მაგრამ ამას წინ აღუდგა პოლიცია, რომელიც ცდილობდა ვაეფანტა მებრძოლი მოსწავლეები და გზა გადაეჭრა მათთვის.

ბავშვა კოლექტივი სრულიად არ უშინდებოდა პოლიციის მუქარას და ცდილობდა წასულიყო წინ. პატარებმა დიდი წინააღმდეგობაცა და ბრძოლის შემდეგ მაინც შესძლეს დემონსტრანტებთან მისვლა. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ გამძვინვარებულმა



ვერობელი კაპიტალისტები მრავალ ფაბრიკას ფლობენ ჩინეთში. ჩვენს სურათზე მოთავსებულია 8—10 წლის ბავშვები, რომლებიც მუშაობენ საფეიქრო ფაბრიკაში.

პოლიციელებმა სასტიკი იერიშები მიიტანეს დემონსტრანტებზე, და მათ შორის ბავშვებზედაც, რომლებსაც გაუმაჰინძლდნენ მათარაბების და თოფის კონდახების ცემით. ბევრ ბავშს სისხლიც კი აღინეს და ისე გარეკეს ისინი შეიარაღებული ძალით.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოედანი და ქუჩები გაწმენდილ იქნა.

ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ბავშვა მასიური მოძრაობის გაძლიერება, ის შესაძლებელია მხოლოდ კანტონში, სადაც ძალა-უფლების სთავებში ხალხურ—რევოლუციონური პარტია სდგას.

ჩინეთში ისევ სასტიკი ბრძოლაა. ისევ იწყის მშრომელი ჩინელი გლეხის სოფლები, ისევ სთელავენ იმათ ყანებს ჯარები.

რატომ სწარმოებს შეუსწვეტელი ომები ჩინეთში? რატომ მოსწყდა მშვიდობიან შრომას ჩინელი ხალხი და გამოვიდა ბრძოლის ველზე?

სამოქალაქო ომი დიდი ხანია სწარმოებს.

1910 წლამდე ჩინეთს განაგებდა მეფე—ბოგ-დინხანი. 1910 წელს ბოგდინხანი აჯანყებულმა ხალხმა ჩამოაგდო ტახტიდან. მაგრამ ჩინეთის რევოლუციამ ვერ მიიყვანა ხალხი გამარჯვებამდის და ძალა-უფლებმა ბოგდინხანის მოხელეებმა და ჩინეთის მსხვილმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში. მხოლოდ იმათაც ვერ მოახერხეს შეინარჩუნებიათ ხელისუფლება მთელ ჩინეთში, და ჩინეთი რამდენიმე ცალკე ნაწილად დაიყო. ყველა ნაწილს მართაგდა საკუთარი განსაკუთრებული მთავრობა. ეს ნაწილები ერთმანეთთან მტრულად იყვნენ განწყობილი.

დროს კი მათი შემოსავლის წყაროს ცარცვა გლეჯა შეადგენდა.

რატომ ვათავდა ამნაირად ჩინეთის პირველი რევოლუციის აფეთქება? რატომ ვერ შეინარჩუნა ჩინეთის ხალხმა თავის ხელში ძალა-უფლება? რატომ ვერ მოახერხა უზრუნველყო სახელმწიფოს მთლიანობა?

მრავალი ათასი წლების განმავლობაში ჩინეთის ხალხი ბოგდინხანებს ემორჩილებოდა.

მონობა და სიბნელე დარჩა მას ძველი წეს-წყობილებისაგან, როგორც მემკვიდრეობა, ამას გარდა, ჩინეთში შიშველობა ძალიან სუსტად არის განვითარებული და, მანამდე, მუშათა კლასი არ იყო ორგანიზაციულად გაერთიანებული, რომ ხალხი გამარჯვების გზით წაყვანა.

მაგრამ ამ გაგრძობას ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც დაერთო:

კიდევ ბოგდინხანების ბატონობის დროს ჩინეთი უცხოელთა გავლენის ქვეშ მოექცა. ინგლისი, იაპონია და რუსეთი, — ყველა ცდილობდა წაეგლიჯა ჩინეთისათვის რაც შეიძლება მეტი ოლქები და ჩარეოდა შინაურ საქმეში; ყველანი ცდილობდნენ შეეფერხებიათ განსაკუთრებით ჩინეთის წარმოების საქმე და, რაც ძალი და ღონე შესწევდათ, ცარცავდნენ ჩინეთის ხალხს.

რასაკვირველია, უცხოეთის იმპერიალისტური მთავრობებისათვის ხელსაყრელი არ იყო, ჩინეთი მღიერი და დამოუკიდებელი ყოფილიყო. ამიტომ ცდილობდნენ უფრო მეტად გაეღვივებიათ შფოთი და არეულობა ხალხში, რომ თვითონ ჩაეგდოთ ბოგდინხანის ხელიდან გაყარდნილი ძალა-უფლება... ჩინეთის რევოლუცია იძულებული გახდა შებრძოლებოდა უცხოეთის იმპერიალიზმს.

ჩინეთის ხალხის საუკეთესო ნაწილმა თავი დასდვა უცხოეთის იმპერიალისტებისაგან ჩინეთის განთავისუფლებისათვის.

ამ საქმის მეთაურობას სწევდა პარტია გომინდანი.

გომინდანის პარტია გამაგრდა სამხრეთ ჩინეთში. ამ ნაწილში უფრო კულტურული და შეგნებული ხალხია. იქაური გლეხი მთელ ჩინეთში ყველაზე უფრო რევოლუციონერია.

სამხრეთ ჩინეთის სატახტო ქალაქად ითვლება ქალაქი კანტონი. ამ ქალაქში იწყობება გომინდანის პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სამხრეთ ჩინეთის მთავრობა.



მართალია, ჩინეთში, პეკინში¹⁾, იყო ერთი ცენტრალური მთავრობა, მაგრამ ამ მთავრობას არავინ არ ემორჩილებოდა და ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია იმათთვის და ბევრი რამ დაეთმო.

ადგილობრივი მთავრობების სათავეში მომეტებული ნაწილად გენერლები იყვნენ. ამ გენერლებს თავთავისი ჯარი ჰყავდათ. ეს ჯარები ჰკრფოდნენ სხვადასხვა გადასახადებს ხალხისაგან ზავის დროს, ომების

1) პეკინი—ჩინეთის დედაქალაქი.



უცხოეთის იმპერიალისტებმა ყოველნაირი ღონე იხმარეს ვაშინდანის პარტიის და მისი დასაყრდნობი მხარის, სასწრეთ ჩინეთის, მოსასპობად.

ყველა სხვა ადგილობრივი მთავრობები უცხოეთ იმპერიალისტების ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურეები გამოადგენ. ჩრდილო ჩინეთში, მანჯურიაში, ვაბატონდა იპაონის მიერ დაქირავებული გენერალი ჩან-ძო-ლინი, შუა ჩინეთში—გენერალი უ-პეი-ფუ. უ-პეი-ფუ ინგლისის მოსამსახურეა და ინგლისის ხელმძღვანელობით მოქმედობს.

შემდეგ, ზღვის პირად, სამხრეთ ჩინეთის ხელისუფლების გვერდით გენერალმა სინ-ჩუნ-ფინმა ხელი იღო ხუთი პროვინცია და ვაბატონდა. სინ-ჩუნ ფინი მოქმედობს ინგლისელებისა და ნაწილობრივ ამერიკელების გავლენის ქვეშ.

სამაგიეროდ, ჩრდილო-დასავლეთით, ჩინეთსა და მონღოლეთს შუა, იმყოფება გენერალი ფინ-იუი სიანის რევოლუციონური არმია. ეს გენერალი და მისი ჯარი მხარს უჭერს გომინდანს ჩინეთის სრული განთავისუფლებისათვის უცხოეთის იმპერიალისტების ბრძალებისაგან.

აი, ამნაირად იყო ძალები განწყობილი ჩინეთში ამ წლის დასაწყისში.

უცხოეთის იმპერიალისტები სკამენ ერთმანეთს, სკამენ თმანეთს მათ მიერ დაქირავებული გენერალებიც— ჩან-ძო-ლინი, უ-პეი-ფუ და სინ-ჩუნ-ფინ.

მაგრამ ამ წლის დასაწყისში ამ გენერლებმა შემოეშავეს მოქმედების საერთო გეგმა და გადაწყვიტეს, რათაც არ უნდა დაჯდეს, ბოლო მოუღონ ჩინეთის რევოლუციონურ ეროვნულ ძალებს.

პირველი ერიში მიიტანეს გენერალ ფინ-იუი-სიანის არმიაც. ფინ-იუი-სიანის ჯარი იძულებული გახდა, უ-პეი-ფუს ჯარების შემოსევის გამო, უკან დაეხია მონღოლეთისაკენ.

სამხრეთ ჩინეთს ჯარს ალყად შემოერტყა მტრის ჯარი და თითქოს უცხოეთის კაპიტალის სრული გამაყრდნობის და გომინდანის მთავრობის დაღუპვის საათმა დასკრა კიდევ; მაგრამ გომინდანმა აღარ დააყოვნა და კანტონის მთავრობის ჯარები თვითონ ეკვეთენ მტერს.

გენ. უ-პეი ფუს ჯარი შედრკა, ვერ გაუძლო მოზღვავედელ ძალას და გამარჯვებული სახალხო ჯარები (ასე ეძახიან კანტონის მთავრობის ჯარებს) შეუჩერებლივ მიდიოდნ წინ გამარჯვებული ახალგაზრდა წინამძღოლის ჩან-კაი-შის მეთაურობით.

ერთი თვის განმავლობაში სახალხო ჯარებმა აიღეს პროვინცია ჰენ-ან, შევიდნენ პროვინცია ჰუ-

ბეიში და ხელში ჩივდეს დიდად მნიშვნელოვანი ლოკი ხანკოუ.

სწორედ ამ დროს მათ წინააღმდეგ გამოვიდა სინ-ჩან-ფინ.

კანტონელებს ჰყავდათ სულ 100—120 ათასი ჯარისკაცი, უ-პეი-ფუს კი 300 ათასი, სინ-ჩუნ-ფინს 100 ათასზე მეტი. უ-პეი-ფუს და სინ-ჩან-ფინის ჯარები საუცხოვოდ არიან შეიარაღებულნი ინგლისელების მიერ.

მაგრამ კანტონელებმა, რომლებიც რევოლუციონური სულით იყვნენ გატენილნი და თავისი საქმისამართლიანობის რწმენით აღქურცილნი, შესძლეს უ-პეი-ფუს ჯარების უფრო შორს ჩრდილოეთისაკენ გადატყარცნა.

შემდეგ იმათ შემოუარეს სინ-ჩან-ფინის ჯარებს და აიძულეს უკან დაეხიათ. ამჟამად სინ-ჩუნ-ფინის ჯარები ზღვასთან არიან მიკუჭტულნი და უიმედოდ აწარმოებენ მოგერიების ბრძოლას.

სასტიკად იქნა დამარცხებული უ-პეი-ფუ და ახლა ისიც უკანსკნულ ძალო-დენს ხმარობს კანტონელების მოსაგერიებლად.

კანტონელების შეტევამ საშუალება მისცა ფინს სიუი-სიანის ჯარს დაესვენებია, ისევ შემოეკრიბა ძალო-დენე და მიმეცლებოდა გომინდანის სახალხო არმიის.

ამჟამად ჩინეთში ვაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. იმპერიალისტების დამკაშვებს კიდევ ჰყავსთ გენერ. ჩან-ძო-ლინის დასვენებული ჯარები და მწელია წინადაწინ იმისი თქმა, თუ რით დამთავრდება ჩინეთის ამბები.

მაგრამ ჩინეთის სახალხო ჯარების გამარჯვება ცხადჰყოფს, რომ ჩინეთის განთავისუფლების საქმემ თვალსაჩინოდ წაიწია წინ.

სახალხო-რევოლუციონური ჯარები გაძლიერდნენ, გაიწვრთნენ, მათ ისწავლეს თავისებოდა უფრო ძლიერი მტრის დამარცხება. იმათ გაუჩნდათ გამოწინილ სარდალი, როგორცაა ჩან-კაი-ში.

სახალხო არმიის გაძლიერება მიხვეწებელია, რომ ჩინეთის ხალხში გაიზარდა რევოლუციონური შეგენება და ამ გარემოებამ უცხოეთის იმპერიალისტების გავლენას დასუსტა და დასუსტა გულში.

რითაც არ უნდა ვთავაძეს ჩინეთის ამბები, უცხოეთის იმპერიალისტების ხელისუფლების დაცემის და რევოლუციონური ჩინეთის განთავისუფლების საით უკვე ახლთა.



რა უნდა წავიკითხო?

განათლების სახ. კომ. სოციალური აღზრდის
მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო
სექციის და საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური

შეწესდით მათთვის მეტად მრავალფეროვანი მისა-
ლა. არის წერილები, რომლებიც ახსნა—განმარტე-
ბას იძლევა ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელო-
ბაზე, მის ისტორიაზე. ასეთი წერილებია: მარია მ
ორახელაშვილის — „ნორჩ თაობას“ შ. შანის —
„ოქტომბრის დიდი რევოლუცია“; აქვეა — ოქტომ-
ბრის რევოლუციის მონაწილეების — აშხ. ხერგო
ორჯონიძის და ჯონ რიდის — მოგონებანი ოქ-
ტომბრის დღეების შესახებ.



შემდეგ არის ლექსების განყოფილება. აქ მო-
თავსებულია „ინტერნაციონალი“, „საბავშვო ინტერ-
ნაციონალი“, ა. მაშაშვილის ნ. ზომლეთელის, კ.
ლორთქიფანიძის, გ. ქუჩიშვილის, ე. პოლუმორ-
დინოვის და სხვების ლექსები.

მესამე განყოფილებაში მოთავსებულია რევო-
ლუციონური შინაარსის რამოდენიმე საბავშვო პიესა.
არის აგრეთვე მუსიკალური განყოფილებაც.

წიგნში მრავალი სურათია.
საერთოდ კრებული მეტად საინტერესოდ არის
შედგენილი, ის, უშეკელია, დიდ დახმარებას გაუწევს
სკოლებს და პონერ-კოლეტივეებს ოქტომბრის
დღესასწაულების ჩასატარებლად. ეს კრებული ფარ-
თედ უნდა იქნას გამოყენებული.

კრებული ღირს 1 მან 20 კაპ.

წიგნის

ბიუროს რედაქციით გამოცემული კრებული „ოქტომ-
ბრის დღეები“ აუცილებელი საჭირო საშუალო წიგ-
ნია ოქტომბრის დღესასწაულების ჩასატარებლად, მის-

მეცნიერება და ტექნიკა

პოლიუსზე გადასაფრენი აეროპლანები.


აღამიანის აზროვნება ახლა ცდილობს რაც შეიძ-
ლება სწრაფად მოაწყოს საჰაერო მოკლე გზა ევრო-
პასა, აზიასა და ამერიკას შორის ჩრდილო პოლიუს-
სის გზით.

ამ მიზნით ამჟამად შენდება ორი სახის აერო-
პლანი: ერთი მგზავრებისა და ტვირთის გადასაზიდა-

ვად და მეორე — საჰაერო გზის სადგურების საჭირო-
ებისათვის. ეს სადგურები მაწყობილ იქნება მუდამ-
ყინულოვან ადგილებში და ყოველნაირი საჭირო
ნივთები შორიდან უნდა იქნას იქ მიზიდული და
მოპარაფებული.

ჩვენი სურათი წარმოადგენს ტვირთის გადასა-
ზიდვ აეროპლანს.

აეროპლანის შუაგულში ჩვენ ვხედავთ ბანქეინის კასრებს. იქვე ბანქეინის მარაგისათვის დიდი ქურქელი, რომელშიც ჩადის 300 კილოგრამი. ამნაირი ქურქულები არის მოწყობილი აეროპლანის ფრთებშიც; ჩადის შიგ თითოში 260 კილოგრამი ბანქეინი.



ბანქეინის საწყობის ღუან არის მოწყობილი მე თვალყურეს განყოფილება: ეს განყოფილება შეერთებულია საწყობთან პატარა ფანჯრით. ამ ფანჯრიდან მეთვალყურე თვალყურს აღევნებს საწყობს ფოტოგრაფიული აპარატის საშუალებით, არის თუ არა იქ ყველაფერი წესზე.

აეროპლანი მოძრაობს 12-ცილინდრიანი 400-ძალიანი ძრავით.

აეროპლანზე მომარაგებულია აგრეთვე წყლის გაყენვის საწინააღმდეგო ნივთიერების ხსნილი.

ავტომობილით მიმოსვლა ოკეანეზე.

ნახევარკუნძულ ფლორიდას და კუნძულ კუბას შუა ყურეზე და ატლანტის ოკეანეზე მრავალი პაწია კუნძულია გაბნეული.

ამჟამად ამერიკის ტენისკამ ისარგებლა ამ კუნძულებით ოკეანეზე საავტომობილო გზის გასაყვანად. გზა მიდის კუნძულებზე და კუნძულებს შუა კი გაკეთებულია ხიდები. ამგვარად მოწყობილია მშვენიერი გზა ავტომობილის მიმოსვლისათვის, სიგრძით 190 კილომეტრი. ზოგ კუნძულებს შორის ძალიან პატარა მანძილია, სულ რამოდენიმე საყენი, მაგრამ ზოგს შორის მანძილი ძალიან დიდია, ისე რომ ავტომობილით მოგზაური, როგორც გვით მოგზაური, ცისა და დედამიწის შეტს ვერაფერს ხედავს ირგვლივ.

ამ გზის დასრულებას 2 1/2 წელიწადში აპირებენ.

რადიო—მაძებარი.

ამერიკაში ლითონის დიდ ქარხნებში რადიოს უწყნაური როლი დააქისრეს: დააქისრეს მაძებრობა. საკმე იმაშია, რომ კაპიტალისტურ ამერიკაში ბარ-


ბაროსულ ჩეველებებს აქვს ადგილი: მუშებს მუშაობის გათავების შემდეგ ჩხრეკენ.

მაგრამ პირდაპირ გაჩხრეკა არასისამონგო და სახიფათოა. ერთი ქურდი აღმოსაჩენად საჭიროა ათასობით მუშების გაჩხრეკა. ბევრი დრო იკარგება და დრო კი, როგორც ვიცით, ამერიკაში ფულია; აპირებენ შეერთებული შტატების კაპიტალისტებმა შემოიღეს გადაუღებელი გაჩხრეკა, რომლის საშუალებით ნამდვილ ქურდს ჩხრეკენ ხოლმე.

პატარა საყარაულოში დადგმულია რადიო-აპარატი და როდესაც მუშები ახლოს გაივიდნენ, თუ მით შორის ქურდი ურევია, რომელსაც თან ლითონის ნატეხი მიაქვს, რადიო-აპარატი ხმას იცვლის და მაშინვე სხვანაირ ხმას გამოსცემს.

არც ერთ ნამცეც ლითონსაც კი არ გაუშვებს რადიო-აპარატი შეუმჩნევლს.

მუშები ქარხნიდან გამოსვლის დროს ყველა თავის ლითონის ნივთებს: საათს, ფანქრებს, სათვალეებს და სხ. განსაკუთრებულ მაგიდებზე სტოვებენ. თუ მუშას არა აქვს თან ლითონის ნივთი, რადიო ჩეველებბრიც ხმას იცვლის, თუ მუშას დამალული



აქვს ლითონის ნივთი, როგორც ზემოთ ვთქვით, მაშინვე ხმას იცვლის და სხვანაირად უკრავს: ქურდი ნაპოვია.

ამასწინეთ უცნაური შემთხვევა მოხდა: ერთი მუშის გავლის დროს რადიო-აპარატმა ხმა შეიცვალა. მაშინვე დაუწყეს „ქურდს“ ჩხრეკა. შეუერთებულ მუშა პოტესტს აცხადებდა, მაგრამ მაინც გაჩხრეკეს. ვერაფერი ვერ უნახეს. შეცდომა მოუვიდა რადიო-მაძებარს? არა, არ შემცდარა და, აი, რა აღმოჩნდა:

ეს მუშა თურმე ჯარში ნამსახური, ჯარისკაცად ნამყოფი იყო. დაქრლდ ფესში ტყვია ჩარჩენოდა და სწორედ ამან გამოიწვია რადიო-აპარატის ხმის გამოცვლა.



ოქტომბრიდან
1926 წ.

გაგოვა

გაგოვა

თრეკიანული საზოგადოებრივი დასახლებული

→ შ უ რ ნ ა ლ ი ←

მოზარდობისთვის

პიონერი

წელიწადი 1

(„წითელი სხივი“-ს მაგიერ)

შურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლაზიონის სახელმძღვანელოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თვითუფლები ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვაღდებულე-ბაა გამოიწერონ:

— პ ი ო ნ ე რ ი —

მიიღება ხელის მოწერა. ქურნალი ღირს გადაგზავნით

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან.

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნახალხი“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარკელაქიო კოლეზია.